

„წყალი, სანიტარია და ჰიგიენა
ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ -
მონიტორინგის ინსტრუმენტი

წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგის სისტემები მრავალ ქვეყანაშია დანერგილი და რეკომენდებულია ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ UNICEF და WHO რეკომენდაციებით განსაზღვრული მონიტორინგის ინსტრუმენტები მხოლოდ სასკოლო დაწესებულებებისთვისაა განკუთვნილი და საქართველოში პირველად იქნება გამოყენებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის (შემდეგში - დაწესებულება) ადაპტირებული ვერსია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (UNICEF) დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობას ადრეული და სკოლამდელი აღზრდის კანონმდებლობის, სამართლებრივი რეგულაციების განსაზღვრის, დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხების (შემდეგ - WASH) მართვისა და შეფასების ეროვნული სტანდარტების დასადგენად, ასევე, მონიტორინგის რუტინული სისტემის ასამოქმედებლად, რათა კომპლექსურად იქნეს შეფასებული არსებული მდგომარეობა და წლიდან წლამდე მიღწეული პროგრესი მდგრადი განვითარების მიზნების გასახორციელებლად.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავრობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი, ხარისხიანი და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპზე დაფუძნებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მისაწოდებლად ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს და ასრულებს შემდეგ ვალდებულებებს:

- ა) ბავშვისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის, საყოველთაო ხელმისაწვდომობას;
- ბ) ადგენს დაწესებულების ავტორიზაციის წესს;
- გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტს, რომელიც გადასინჯვასა და განვითარებას არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება;

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს;

ე) დაწესებულებაში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესების დასადგენად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს ტექნიკურ რეგლამენტს;

ვ) დაწესებულებაში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების დასადგენად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს ტექნიკურ რეგლამენტს;

ზ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს ტექნიკურ რეგლამენტს დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ;

თ) ხელს უწყობს დაწესებულების ინფრასტრუქტურულ განვითარებას;

ი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებულებათა რეესტრის წარმოების წესსა და ამ რეესტრში შესატანი მონაცემებისა და ინდიკატორების ჩამონათვალს;

ამავე კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად - მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები/ვალდებულებები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის - საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე მოიცავს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის შემუშავებას და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტები ბავშვთა სათანადო განვითარებისათვის და სკოლისათვის მოსამზადებლად უზრუნველყოფენ ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნას, მათ შორის უზრუნველყოფენ დაწესებულებების შიდა მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშგების სისტემის ფუნქციონირებას.

მიღებულია და ამოქმედდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის კანონქვემდებარე აქტი, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“, რომლის შესაბამისად:

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის

მიერ უფლებამოსილი პირის მიერ. აღნიშნული მიზნით, მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ბავშვებისათვის სათანადო ჰიგიენური პირობების (ხელების დაბანისათვის წყლითა და საპნით, ფუნქციურ ადგილებსა და საპირფარეოებში ადეკვატური ჰიგიენური პირობების არსებობა, ხელსაბანები და საპირფარეოები ნორმებთან შესაბამისი ოდენობითა და მდგომარეობით) მონიტორინგს, შეფასების სტანდარტული მეთოდოლოგიის საშუალებით.

2. მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები შეტანილ უნდა იქნეს სპეციალურად ამისთვის წარმოებულ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, სადაც აუცილებელი წესით მიეთითება მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ყველა დარღვევა.

3. მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელებისას კანონმდებლობასთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, გაუწიოს სათანადო კონსულტაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ დაწესებულებას და განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ხსენებული წარმოადგენს შემდგომი შემოწმების/მონიტორინგის საფუძველს. სერვისის მიმწოდებლისათვის მიცემული გონივრული ვადის გასვლის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია, გადაამოწმოს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ნორმების შესრულება.

4. მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია, მონიტორინგის შედეგები აცნობოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის განმახორციელებელ სტრუქტურას, ასევე ცენტრს.

5. მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გამოვლენილი, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ნორმების შეუსრულებლობა წარმოადგენს აღნიშნული დაწესებულებისათვის ავტორიზაციის შეჩერების საფუძველს.

6. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:

- ა) განსაზღვრავს რუტინული ზედამხედველობის პარამეტრებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის;
- ბ) შეიმუშავებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული მდგომარეობის შესაფასებელ სტანდარტულ მეთოდოლოგიას;
- გ) უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში წარმოებულ მონიტორინგის შედეგების დამუშავებას/ანალიზს ცენტრის საშუალებით, რომელიც, ასევე შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს და, საჭიროების

შემთხვევაში, ეპიდზედამხედველობის მიმართულებით გასატარებელ დამატებით ღონისძიებებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური მიმართულებით და წარუდგენს მას მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ უფლებამოსილ პირს.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის მონიტორინგის უზრუნველსაყოფის ჯეროვნად განხორციელებას ხელს შეუწყობს დოკუმენტა პაკეტი, რომელიც მოიცავს მონიტორინგის დიფერენცირებულ ინსტრუმენტებს საბავშვო ბაღებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებებისათვის, ასევე მათი განხორციელების გაიდლაინებს.

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის მონიტორინგის ინსტრუმენტი შემდეგ სამ კრიტერიუმს ეფუძნება:

1. კითხვების რაოდენობა დაყვანილია მინიმუმამდე, რათა გაადვილდეს მონაცემთა რეესტრის წარმოება;
2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის განკუთვნილი მონიტორინგის ინსტრუმენტი მოიცავს მხოლოდ იმ კითხვებს, რომელზე პასუხის გაცემა არ მოითხოვს წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხების პროფესიულ დონეზე ცოდნას და არ იქნება რთული დაწესებულების დირექტორების/ხელმძღვანელების/მესვეურებისათვის, რომელნიც ავსებენ კითხვარებს.
3. ფოკუსირებულია კითხვებზე, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მონაცემების მიღება წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის მიმართულებით, მიღწეული პროგრესის გაზომვის ძირითადი ინდიკატორების გამოყენებით.

მონიტორინგის ინსტრუმენტები დაყოფილია ხუთ სექციად/ნაწილად. ესენია:

1. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ
2. წყალი
3. სანიტარია
4. ჰიგიენა
5. ნარჩენების მართვა და დასუფთავება

თითოეული სექცია/ნაწილი სტრუქტურირებულია შემდეგნაირად:

- ინდიკატორი
- ძირითადი კითხვები
- განმარტებანი (რაც დაეხმარება დაწესებულების დირექტორებს/ხელმძღვანელებს კითხვარის შევსებაში)

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის დაწესებულებებისათვის განკუთვნილი მონიტორინგის ინსტრუმენტში მოყვანილი კითხვები ორ ტიპად დიფერენცირდება.

კითხვების უმრავლესობას მკლევარი უშუალოდ დაუსვამს რესპონდენტს (როგორც წესი, დაწესებულების დირექტორს). ხოლო, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი დაკვირვების შედეგად უნდა იქნას მიღებული (ანუ, მკლევარი არ მიმართავს ინფორმაციისათვის რესპონდენტს, არამედ თავად ახორციელებს დაკვირვებას). ასეთი კითხვები აღნიშნულია როგორც „დააკვირდით“. ზოგიერთ შემთხვევაში, რესპონდენტმა შეიძლება არ იცოდეს კითხვის პასუხი და მკლევარმა ინფორმაციის მისაღებად უნდა გამოიყენოს საკუთარი დაკვირვების შედეგები. ვიდრე დაკვირვებას შეუდგება, მკლევარმა უნდა მიიღოს ნებართვა დაკვირვების წარმოებაზე. ზოგჯერ, არ არის საკმარისი მხოლოდ კითხვის დასმა. შესაძლებელია საჭირო გახდეს რესპონდენტისაგან დამატებითი მონაცემების მიღება. კითხვები, რომლებიც შეიძლება საჭიროებდეს დაზუსტებას აღნიშნულია ფრაზით „დააზუსტეთ დეტალები“.

მოდულის მიხედვით, რუტინული მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია საჭიროებს ადმინისტრირებას მუნიციპალიტეტების მიერ, ერთიან რეესტრში მონაცემთა ასახვის უზრუნველსაყოფად.

მონიტორინგის ინსტრუმენტი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის

მოდული : წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საქართველოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში
კითხვარი ერთიან საინფორმაციო სისტემაში ინტეგრაციისათვის

მონიტორინგის ინსტრუმენტი

ნაწილი I. ინფორმაცია ბალის შესახებ

- კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი
- კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა (რეკომენდებულია, რომ იყოს დაწესებულების დირექტორი, ან დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა ხელმძღვანელი) და საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, ტელეფონი: სამსახური, მობილური)
- კითხვარის შევსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)
- დაწესებულების სახელწოდება

- დაწესებულების საიდენტიფიკაციო ნომერი
- დაწესებულების სამართლებრივი ფორმა (საჯარო/კერძო)
- დაწესებულების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო/უწყება
- დაწესებულების არეალი (ქალაქი/სოფელი)
- დაწესებულების მისამართი
- სტატისტიკური მახასიათებლები (ბავშვების საერთო რაოდენობა; გოგონების რაოდენობა; ბიჭების რაოდენობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით)

○ 2-დან 3 წლამდე:

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

○ 3-დან 4 წლამდე

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

○ 4-დან 5 წლამდე

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

○ 5 და მეტი წლის

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- ცვლების რაოდენობა დაწესებულებაში (ერთცვლიანი; ორცვლიანი; სამცვლიანი)
- დაწესებულების მუშაობის საათები
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები (საერთო რაოდენობა; გოგონების რაოდენობა; ბიჭების რაოდენობა)
- აღმზრდელ-პედაგოგი (საერთო რაოდენობა; ქალების რაოდენობა; მამაკაცების რაოდენობა)

- დაწესებულების სხვა პერსონალი (საერთო რაოდენობა; ქალების რაოდენობა; მამაკაცების რაოდენობა)
- მოქმედებს თუ არა დაწესებულებაში მშობელთა გაერთიანება?
- რა სახის დახმარებას უწევს დაწესებულებას ეს გაერთიანება წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) საკითხებში?
- რომელი უწყების დაქვემდებარებაშია დაწესებულება?
- გააჩნია თუ არა დაწესებულებას ყოველწლიური თვითშეფასების ან/და გაუმჯობესების დაგეგმვის რაიმე სახის სისტემა? მოიცავს ეს სისტემა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებს (WASH)?

ნაწილი II. წყალი (წყალმომარაგების წყარო და მოწოდებული წყლის ხარისხი)

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყალმომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის.

კითხვა 1. როგორია წყალმომარაგების ძირითადი წყარო დაწესებულებისთვის? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე)

1	წყალგაყვანილობის მილსადენი შეყვანილი შენობაში	<input type="checkbox"/>
2	წყალგაყვანილობის მილსადენი შეყვანილი ეზოში/ნაკვეთზე	<input type="checkbox"/>
3	წყალგაყვანილობის მილსადენი საერთო მოხმარების ონკანით სხვა მოსახლეობასთან	<input type="checkbox"/>
4	არტეზიული ჭა	<input type="checkbox"/>
5	დაცული ჭა	<input type="checkbox"/>
6	დაუცველი ჭა	<input type="checkbox"/>
7	დაცული წყარო	<input type="checkbox"/>
8	დაუცველი წყარო	<input type="checkbox"/>
9	შეგროვებული წვიმის წყალი	<input type="checkbox"/>

10	ბუტლირებული/ჩამოსხული წყალი	<input type="checkbox"/>
11	დიდ-ცისტერნიანი წყალსაზიდი სატვირთო მანქანა	<input type="checkbox"/>
12	პატარა საზიდარზე განთავსებული ცისტერნა/ბიდონი	<input type="checkbox"/>
13	ზედაპირული წყალი (მდინარე, ტბა, არხი, გუბე, საირიგაციო არხი)	<input type="checkbox"/>
14	დაწესებულებაში ან მის შემოგარენში წყალმომარაგების წყარო არ არის (გადადით მე-6 კითხვაზე)	<input type="checkbox"/>
15	სხვა <i>(გთხოვთ დააკონკრეტოთ)</i> _____	<input type="checkbox"/>

კითხვა 2: როგორი ინტენსივობით ფუნქციონირებს წყალმომარაგების წერტილი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- 5-7 დღე კვირაში 2-4 დღე კვირაში 2 დღეზე ნაკლები კვირაში

კითხვა 3: როდესაც წყალმომარაგების წერტილი ფუნქციონირებს, უზრუნველყოფს თუ არა დაწესებულების ყველა საჭიროების დაკმაყოფილებას, მათ შორის სასმელად, ხელების დასაბანად, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისათვის და ა.შ. (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- დიახ არა წყალმომარაგების წერტილი არ ფუნქციონირებს

კითხვა 4: ამჟამად ფუნქციონირებს წყალმომარაგების ძირითადი წერტილი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ არა

კითხვა 5: ექვემდებარება თუ არა სასმელი წყალი დამუშავებას/გაუფრენბელყოფას დალევაამდე? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- დიახ ზოგჯერ არასდროს

კითხვა 6. ბავშვებს/მათ მშობლებს თავად მოაქვთ სახლიდან სასმელი წყალი? (მონიშნეთ მხოლოდ მონიშნეთ ერთი პასუხი)

- ბავშვების/მშობლების უმრავლესობას სახლიდან მოაქვს სასმელი წყალი
- ზოგიერთ ბავშვს/მშობელს სახლიდან მოაქვს სასმელი წყალი

არცერთ ბავშვს/მშობელს არ მოაქვს სახლიდან წყალი

კითხვა 7: წყალმომხარების წერტილები ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

ნაწილი III. სანიტარია

ინდიკატორი : დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის ჯიხურები გოგონებისათვის, ბიჭებისათვის, აღმზრდელ-პედაგოგებისა და სხვა პერსონალისათვის, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

ძირითადი კითხვები

კითხვა 1: სად არის განთავსებული ტუალეტის ჯიხურები?

1	დაწესებულების შენობის შიგნით	<input type="checkbox"/>
2	დაწესებულების შენობის გარეთ	<input type="checkbox"/>
4.	დაწესებულების არ აქვს ტუალეტი	<input type="checkbox"/>

კითხვა 2: რა ტიპის ტუალეტია დაწესებულებაში? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი)

ჩარეცხვადი ტუალეტი უნიტაზით, რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი ტუალეტი უნიტაზით, რომელიც მიერთებულია სეპტიკურ რეზერვუარზე/ავზზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი „თურქული ჯამის“ ტიპის ტუალეტი, რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი „თურქული ჯამის“ ტიპის ტუალეტი, რომელიც მიერთებულია სეპტიკურ რეზერვუარზე/ავზზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი ტუალეტი, ღია დრენირების სისტემით	<input type="checkbox"/>
„თურქული ჯამის“ ან „ჩეჩმის“ ტიპის ტუალეტი-სეპტიკი, ჩარეცხვის გარეშე, ცემენტის ან სხვა მყარი და დაცული ნაგებობა	<input type="checkbox"/>
სათლი (ვედრო)	<input type="checkbox"/>
დაკიდებული ტუალეტი/დაკიდებული „თურქული ჯამის“ ან „ჩეჩმის“ ტიპის ტუალეტი	<input type="checkbox"/>
არ არის ტუალეტი (გადადით მე-4 ნაწილზე)	<input type="checkbox"/>
სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ) _____	<input type="checkbox"/>

კითხვა 3: რამდენი ტუალეტის ჯიხურია დაწესებულებაში? (მიუთითეთ რიცხვი)

	მოქმედი	მწყობრიდან გამოსული
მხოლოდ გოგონებისთვის		
მხოლოდ ბიჭებისთვის		
საერთო ტულეტის ჯიხურები გოგონებისა და ბიჭებისათვის		
მხოლოდ მდედრობითი სქესის პედაგოგ-აღმზრდელებისა და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის		
მხოლოდ მამრობითი სქესის პედაგოგ-აღმზრდელებისა და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის		
საერთო ტულეტის ჯიხურები ქალი და მამაკაცი დაწესებულების პერსონალისათვის		
საერთო ტულეტის ჯიხურები ყველასთვის		

კითხვა 4: ბავშვებისათვის განკუთვნილი ტულეტების კონსტრუქცია და აღჭურვილობა შეესაბამება მათ ასაკობრივ თავისებურებებს? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- დიახ, ყველა შეესაბამება
- მხოლოდ ზოგიერთი შეესაბამება
- არცერთი არ შეესაბამება

კითხვა 5: არის თუ არა დაწესებულებაში ინდივიდუალური მოხმარების ქოთნები 2-დან 5 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისათვის?

დიახ არა

კითხვა 6: ტულეტი ხელმისაწვდომი და მოხერხებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის?

დიახ არა

კითხვა 7: ტულეტი ხელმისაწვდომი და მოხერხებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილებისათვის?

დიახ არა

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ხელსაბანები, სადაც ყოველთვის ხელმისაწვდომია საპონი ყველა ბავშვისათვის და უზრუნველყოფილია ჰიგიენის სწავლება.

კითხვა 1: დაწესებულებაში არის ხელსაბანები? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

თუ პასუხია არა, გადადით მე-5 ნაწილზე

კითხვა 2: რამდენი ხელსაბანი ნიჟარაა დაწესებულებაში? (მიუთითეთ რიცხვი)

	მოქმედი	მწყობრიდან გამოსული
მხოლოდ გოგონებისთვის		
მხოლოდ ბიჭებისთვის		
საერთო ხელსაბანი ყველასათვის		

კითხვა 3. ბავშვისათვის განკუთვნილი ხელსაბანების კონსტრუქცია და აღჭურვილობა შეესაბამება მათ ასაკობრივ თავისებურებებს?

- დიახ, ყველა შეესაბამება
- მხოლოდ ზოგიერთი შეესაბამება
- არცერთი არ შეესაბამება

კითხვა 4. ხელსაბანი ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის?

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

კითხვა 5: ხელსაბანთან ყოველთვის არის საპონი? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

- დიახ
- ზოგჯერ
- არასდროს

კითხვა 6: ხელსაბანთან ყოველთვის არის ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი?

- დიახ
- ზოგჯერ
- არასდროს

კითხვა 7: დაწესებულებაში ისწავლება ჰიგიენა? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

კითხვა 8: რას მოიცავს ჰიგიენის სწავლება? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი)

- ხელების დაბანა
- კბილების გახეხვა
- პირადი ჰიგიენა ზოგადად

ნაწილი V. ნარჩენების მართვა და დასუფთავება

ინდიკატორი: დაწესებულებაში რეგულარულად ხორციელდება მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების გატანა, დადგენილია და კონტროლდება დასუფთავების რეჟიმი.

ძირითადი კითხვები

კითხვა 1: ყოველდღიურად გროვდება და გაიტანება დაწესებულებიდან მყარი ნარჩენები (ნაგავი)? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

კითხვა 2: რეგულარულად გაიტანება ტუალეტებისა და სხვა სათავსების ჩამდინარე წყლები? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

კითხვა 3: რეგულარულად ხორციელდება დაწესებულების სათავსების დასუფთავება? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

მოდული : წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საქართველოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

კითხვარი ერთიან საინფორმაციო სისტემაში ინტეგრაციისათვის

განხორციელების გაიდლაინი

ნაწილი I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

- კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი
- კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობა (რეკომენდებულია, რომ იყოს დაწესებულების დირექტორი, ან დაწესებულებისადმინისტრაციის სხვა ხელმძღვანელი) და საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, ტელეფონი: სამსახური, მობილური)
- კითხვარის შევსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)
- დაწესებულების სახელწოდება
- დაწესებულების საიდენტიფიკაციო ნომერი
- დაწესებულების სამართლებრივი ფორმა (საჯარო/კერძო)
- დაწესებულების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო/უწყება
- დაწესებულების არეალი (ქალაქი/სოფელი)
- დაწესებულების მისამართი
- სტატისტიკური მახასიათებლები (ბავშვების საერთო რაოდენობა; გოგონების რაოდენობა; ბიჭების რაოდენობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით)
 - 2-დან 3 წლამდე:

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- 3-დან 4 წლამდე

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- 4-დან 5 წლამდე

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

○ 5 და მეტი წლის

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- ცვლების რაოდენობა დაწესებულებაში (ერთცვლიანი; ორცვლიანი; სამცვლიანი)
- დაწესებულების მუშაობის საათები
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები (საერთო რაოდენობა; გოგონების რაოდენობა; ბიჭების რაოდენობა)
- აღმზრდელ-პედაგოგი (საერთო რაოდენობა; ქალების რაოდენობა; მამაკაცების რაოდენობა)
- დაწესებულების სხვა პერსონალი (საერთო რაოდენობა; ქალების რაოდენობა; მამაკაცების რაოდენობა)
- მოქმედებს თუ არა დაწესებულებაში მშობელთა გაერთიანება?
- რა სახის დახმარებას უწევს დაწესებულებას ეს გაერთიანება წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) საკითხებში?
- რომელი უწყების დაქვემდებარებაშია დაწესებულება?
- გააჩნია თუ არა დაწესებულებას ყოველწლიური თვითშეფასების ან/და გაუმჯობესების დაგეგმვის რაიმე სახის სისტემა? მოიცავს ეს სისტემა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებს (WASH)?

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყალმომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის.

ძირითადი კითხვები

კითხვა 1. როგორია წყალმომარაგების ძირითადი წყარო დაწესებულებისთვის? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე)

1	წყალგაყვანილობის მილსადენი შეყვანილი შენობაში	<input type="checkbox"/>
2	წყალგაყვანილობის მილსადენი შეყვანილი ეზოში/ნაკვეთზე	<input type="checkbox"/>
3	წყალგაყვანილობის მილსადენი საერთო მოხმარების ონკანით სხვა მოსახლეობასთან	<input type="checkbox"/>
4	არტეზიული ჭა	<input type="checkbox"/>
5	დაცული ჭა	<input type="checkbox"/>
6	დაუცველი ჭა	<input type="checkbox"/>
7	დაცული წყარო	<input type="checkbox"/>
8	დაუცველი წყარო	<input type="checkbox"/>
9	შეგროვებული წვიმის წყალი	<input type="checkbox"/>
10	ბუტირებული/ჩამოსხული წყალი	<input type="checkbox"/>
11	დიდ-ცისტერნიანი წყალსაზიდი სატვირთო მანქანა	<input type="checkbox"/>
12	პატარა საზიდარზე განთავსებული ცისტერნა/ბიდონი	<input type="checkbox"/>
13	ზედაპირული წყალი (მდინარე, ტბა, არხი, გუბე, საირიგაციო არხი)	<input type="checkbox"/>
14	დაწესებულებაში ან მის შემოგარენში წყალმომარაგების წყარო არ არის (გადადით მე-6 კითხვაზე)	<input type="checkbox"/>
15	სხვა <i>(გთხოვთ დააკონკრეტოთ)</i> _____	<input type="checkbox"/>

განმარტებები კითხვაზე 1:

ამორჩიეთ და მიუთითეთ დაწესებულების წყალმომარაგების, როგორც ძირითადი, ასევე ალტერნატიული წყაროები.

წყალმომარაგების ტიპები მოყვანილია რეკომენდაციების - *Core Questions on Drinking Water and Sanitation for Household Surveys from the WHO/UNICEF Joint Monitoring Programme for Water*

Supply and Sanitation (JMP) მიხედვით. წყალმომარაგების ტიპების განსაზღვრება მოცემულია გაიდლაინის დანართში 1, სადაც ასევე არის მითითებული წარმოადგენს თუ არა იგი „გაუმჯობესებულს“. წყალმომარაგების ტიპების ქართულენოვანი განსაზღვრებები შესაძლებელია შეიცვალოს ან გამარტივდეს. მაგრამ, ვერ შეიცვლება დეფინიციები/განმარტებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სხვადასხვა ქვეყნებს შორის შედარებადობა.

კითხვა 2: როგორი ინტენსივობით ფუნქციონირებს წყალმომარაგების წერტილი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- 5-7 დღე კვირაში 2-4 დღე კვირაში 2 დღეზე ნაკლები კვირაში

განმარტებები კითხვაზე 2.

ამოირჩიეთ და მიუთითეთ წყალმომარაგების ის რეჟიმი, რომელიც გაგაჩნიათ. თუ წყალმომარაგება 24 საათიან რეჟიმში ხორციელდება კვირაში 7 დღის მანძილზე, პასუხი უნდა იყოს „5-7 დღე კვირაში“. წყალმომარაგების სხვა რეჟიმების არსებობისას, ამოირჩიეთ სხვა პასუხი.

კითხვა 3: როდესაც წყალმომარაგების წერტილი ფუნქციონირებს, უზრუნველყოფს თუ არა დაწესებულების ყველა საჭიროების დაკმაყოფილებას, მათ შორის სასმელად, ხელების დასაბანად, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისათვის და ა.შ. (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- დიახ არა წყალმომარაგების წერტილი არ ფუნქციონირებს

განმარტებები კითხვაზე 3:

ამ კითხვაზე პასუხი დადებითი იქნება იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებისთვის მოწოდებული წყლის რაოდენობა აკმაყოფილებს დაწესებულების ყველა სახის მოთხოვნას წყალზე, განსაკუთრებით ძირითადი საჭიროებებისათვის: სასმელად, ხელების დასაბანად, საკვების მოსამზადებლად, ტუალეტების ჩასარეცხად, დასასუფთავებლად.

კითხვა 4: ამჟამად ფუნქციონირებს წყალმომარაგების ძირითადი წერტილი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

განმარტებები კითხვაზე 4:

იმ დროისათვის, როდესაც თქვენ ავსებთ კითხვარს თუ გამართულად ფუნქციონირებს წყალმომარაგების ძირითადი წყარო, პასუხი იქნება დადებითი. ხოლო, თუ მხოლოდ ალტერნატიული წყარო ფუნქციონირებს, ან არცერთი - პასუხი უნდა იყოს უარყოფითი.

კითხვა 5: ექვემდებარება თუ არა სასმელი წყალი დამუშავებას/გაუვნებელოფას დაღვეამდე? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- დიახ ზოგჯერ არასდროს

განმარტებები კითხვაზე 5.

ამ კითხვაზე პასუხი დადებითი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, თუ თქვენ სრულად ხართ დარწმუნებული, რომ წყალმომარაგების სისტემით მოწოდებულ წყალს გავლილი აქვს წინასწარი დამუშავება/გაუვნებელოფა, ან თქვენ თავად უზრუნველყოფთ მის დამუშავებას/გაუვნებელოფას დაწესებულებაში, რომელიმე რეკომენდებული მეთოდის გამოყენებით.

პასუხი „დიახ“ მონიშნეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ტარდება სასმელად განკუთვნილი წყლის რაიმე სახის დამუშავება/გაწმენდა, მაგალითად, ადუღება, ქლორირება, ქლორკირით დამუშავება, გაწმენდა კერამიკული, სანთლისებრი ან ბიოლოგიური/ბიოქვიმის ფილტრების გამოყენებით.

კითხვა 6. ბავშვებს/მათ მშობლებს თავად მოაქვთ სახლიდან სასმელი წყალი? (მონიშნეთ მხოლოდ მონიშნეთ ერთი პასუხი)

- ბავშვების/მშობლების უმრავლესობას სახლიდან მოაქვს სასმელი წყალი
- ზოგიერთ ბავშვს/მშობელს სახლიდან მოაქვს სასმელი წყალი
- არცერთ ბავშვს/მშობელს არ მოაქვს სახლიდან წყალი

განმარტებები კითხვაზე 6.

ამოირჩიეთ და მიუთითეთ პასუხის ის ვარიანტი, რომელიც ასახავს სასმელი წყლის მოხმარების ტიპს ბავშვებისათვის.

კითხვა 7: წყალმომარაგების წერტილები ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

განმარტებები კითხვაზე 7:

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში სასმელი წყლის ერთი წერტილი მაინც არსებობს, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ მოხმარებისათვის, პასუხი კითხვაზე იქნება დადებითი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი (1995 წლის 14 ივნისი)

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში“.

ნაწილი III. სანიტარია

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის ჯიხურები გოგონებისათვის, ბიჭებისათვის, აღმზრდელ-პედაგოგებისა და სხვა პერსონალისათვის, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

ძირითადი კითხვები

კითხვა 1: სად არის განთავსებული ტუალეტის ჯიხურები?

1	დაწესებულების შენობის შიგნით	<input type="checkbox"/>
2	დაწესებულების შენობის გარეთ	<input type="checkbox"/>
4.	დაწესებულების არ აქვს ტუალეტი	<input type="checkbox"/>

კითხვა 2: რა ტიპის ტუალეტია დაწესებულებაში? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი)

ჩარეცხვადი ტუალეტი უნიტაზით, რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი ტუალეტი უნიტაზით, რომელიც მიერთებულია სეპტიკურ რეზერვუარზე/ავზზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი "თურქული ჯამის" ტიპის ტუალეტი, რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი "თურქული ჯამის" ტიპის ტუალეტი, რომელიც მიერთებულია სეპტიკურ რეზერვუარზე/ავზზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი ტუალეტი, ღია დრენირების სისტემით	<input type="checkbox"/>

„თურქული ჯამის“ ან „ჩეჩმის“ ტიპის ტუალეტი-სეპტიკი, ჩარეცხვის გარეშე, ცემენტის ან სხვა მყარი და დაცული ნაგებობა	<input type="checkbox"/>
სათლი (ვედრო)	<input type="checkbox"/>
დაკიდებული ტუალეტი/დაკიდებული „თურქული ჯამის“ ან „ჩეჩმის“ ტიპის ტუალეტი	<input type="checkbox"/>
არ არის ტუალეტი (გადადით მე-4 ნაწილზე)	<input type="checkbox"/>
სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ)_____	<input type="checkbox"/>

განმარტებები კითხვაზე 2:

ამოირჩიეთ და მიუთითეთ დაწესებულებაში არსებული ტუალეტის ტიპი.

ტუალეტების ტიპები მოყვანილია რეკომენდაციების - *Core Questions on Drinking Water and Sanitation for Household Surveys from the WHO/UNICEF Joint Monitoring Programme for Water Supply and Sanitation (JMP)* მიხედვით. ტუალეტების ტიპების ქართულენოვანი განსაზღვრებები შესაძლებელია შეიცვალოს ან გამარტივდეს. მაგრამ, ვერ შეიცვლება დეფინიციები/განმარტებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სხვადასხვა ქვეყნებს შორის შედარებადობა.

კითხვა 3: რამდენი ტუალეტის ჯიხურია დაწესებულებაში? (მიუთითეთ რიცხვი)

	მოქმედი	მწყობრიდან გამოსული
მხოლოდ გოგონებისთვის		
მხოლოდ ბიჭებისთვის		
საერთო ტუალეტის ჯიხურები გოგონებისა და ბიჭებისათვის		
მხოლოდ მდედრობითი სქესის პედაგოგ-ადმინისტრატორებისა და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის		
მხოლოდ მამრობითი სქესის პედაგოგ-ადმინისტრატორებისა და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის		
საერთო ტუალეტის ჯიხურები ქალი და მამაკაცი დაწესებულების პერსონალისათვის		
საერთო ტუალეტის ჯიხურები ყველასთვის		

განმარტებები კითხვაზე 3.

ტუალეტის ჯიხურად ჩაითვლება, როგორც ცალკე მდგომი ნაგებობა, რომელიც ერთ ადამიანზეა გათვლილი, ასევე ერთი კუბიკურა რამდენიმესაგან შემდგარ კომპლექსში დასაჯდომი უნიტაზით/იატაკის უნიტაზით/ორმოთი, რომელიც ერთ ბავშვზეა გათვლილი და სადაც შესაძლებელია პრივატულობის დაცვა.

დაწესებულებაში არსებული ტუალეტის ტიპი, შერჩეული და მონიშნული უნდა იქნეს ჩამოთვლილ ვარიანტებს შორის, ან მიეთითოს აღწერილობა უკანასკნელ გრაფაში.

„მხოლოდ გოგონებისათვის“ ნიშნავს, რომ ტუალეტის ამ ჯიხურებით სარგებლობა არ შეუძლიათ ბიჭებს და პირიქით „მხოლოდ ბიჭებისათვის“ განკუთვნილის შემთხვევაში. თუ ტუალეტის ჯიხურებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც გოგონებს, ასევე ბიჭებს - მათი რაოდენობა მითითებული უნდა იქნეს საერთო ტუალეტების გრაფაში.

„მოქმედი“ ნიშნავს, რომ კითხვარის შევსების დროს ტუალეტის ჯიხური ფუნქციონირებდა, არ იყო დაზიანებული და ბავშვები/ადამრდელ - პედაგოგი/პერსონალი სარგებლობდნენ თავისუფლად.

„მწყობრიდან გამოსული“ ნიშნავს, რომ კითხვარის შევსების დროს ტუალეტის ჯიხური არ ფუნქციონირებდა, იყო დაზიანებული/გადავსებული და ბავშვებს/ადამრდელ-პედაგოგებს/პერსონალს არ შეეძლო სარგებლობა.

კითხვა 4: ბავშვებისათვის განკუთვნილი ტუალეტების კონსტრუქცია და აღჭურვილობა შეესაბამება მათ ასაკობრივ თავისებურებებს? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- დიახ, ყველა შეესაბამება
- მხოლოდ ზოგიერთი შეესაბამება
- არცერთი არ შეესაბამება

განმარტებები კითხვაზე 4.

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი შეიძლება იქნეს გაცემული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას გააჩნია შემდეგი მახასიათებლების მქონე ტუალეტი: დასაჯდომი უნიტაზის/იატაკის უნიტაზის/ორმოს ზომები შეესაბამება 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვის ფიზიკურ პარამეტრებს, თუ კარის სახელური განთავსებულია ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე, თუ საკმარისია განათება, რათა ბავშვებს არ ემინოდეთ შესვლის.

კითხვა 5: არის თუ არა დაწესებულებაში ინდივიდუალური მოხმარების ქოთნები 2-დან 5 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისათვის?

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

განმარტებები კითხვაზე 5.

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი შეიძლება იქნეს გაცემული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების 2-დან 5 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს გააჩნია ინდივიდუალური მოხმარების, შესაბამისად მარკირებული ქოთნები, რომლებიც ექვემდებარება სათანადო რეცხვა-დეზინფექციას, ყოველი გამოყენების შემდგომ.

კითხვა 6: ტუალეტი ხელმისაწვდომი და მოხერხებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის?

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

განმარტებები კითხვაზე 6.

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ტუალეტის ერთი ჯიხური მაინც არსებობს, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ მოხმარებისათვის, პასუხი კითხვაზე იქნება დადებითი.

კითხვა 7: ტუალეტი ხელმისაწვდომი და მოხერხებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილებისათვის?

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

განმარტებები კითხვაზე 7.

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ტუალეტის ერთი ჯიხური მაინც არსებობს, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პერსონალის მიერ მოხმარებისათვის, პასუხი კითხვაზე იქნება დადებითი.

ნაწილი IV. ჰიგიენა

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ხელსაბანები, სადაც ყოველთვის ხელმისაწვდომია საპირი ყველა ბავშვისათვის და უზრუნველყოფილია ჰიგიენის სწავლება.

ძირითადი კითხვები

კითხვა 1: დაწესებულებაში არის ხელსაბანები? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

თუ პასუხია არა, გადადით მე-5 ნაწილზე

განმარტებები კითხვაზე 1.

ხელსაზიანი შეიძლება იყოს სტანდარტული ტიპისა, როგორცაა ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის ონკანი და ნიჟარა მიერთებული წყალარინების სისტემაზე, ასევე სპეციალურად მოწყობილი ხელსაზიანი მიერთებული ან მომარაგებული სხვადასხვა ტიპის წყლის ავზიდან და წყალარინების სისტემასთან მიერთების გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს დაახლოებით 1/2 ლიტრი წყლის მიწოდებას ყოველ ჯერზე, როდესაც ბავშვი საჭიროებს ხელის დაბანას. ბავშვის/აღმზრდელ-პედაგოგის/სხვა პერსონალის ხელის დაბანის კრიტიკული საჭიროება დაწესებულებაში დგება ტუალეტით სარგებლობის შემდეგ და საკვების მიღებამდე. საკვების მიწოდებით დაკავებულ მომსახურე პერსონალს ასევე უნდა გააჩნდეს ხელსაზიანი.

კითხვა 2: რამდენი ხელსაზიანი ნიჟარაა დაწესებულებაში? (მიუთითეთ რიცხვი)

	მოქმედი	მწყობრიდან გამოსული
მხოლოდ გოგონებისთვის		
მხოლოდ ბიჭებისთვის		
საერთო ხელსაზიანი ყველასათვის		

განმარტებები კითხვაზე 2.

დაწესებულებების უმრავლესობაში ხელსაზიანები განთავსებული ტუალეტის სიახლოვეს ან უშუალოდ სანიტარიულ კვანძში და ამიტომ შესაძლებელია ექსკლუზიურად გამოიყენებოდეს გოგონების ან ბიჭების მიერ. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ „მხოლოდ გოგონებისათვის“ და „მხოლოდ ბიჭებისათვის“ განკუთვნილი ხელსაზიანი ნიჟარების რაოდენობები შესაბამის გრაფებში. ხელსაზიანების რაოდენობა, რომელიც შეიძლება გამოიყენებული იქნეს, როგორც გოგონების, ასევე ბიჭების მიერ (დერეფანში, საკლასო ოთახში, ბუფეტში და ა.შ. არსებული) მიუთითეთ გრაფაში - „საერთო ხელსაზიანი ყველასათვის“.

კითხვა 3. ბავშვისათვის განკუთვნილი ხელსაზიანების კონსტრუქცია და აღჭურვილობა შეესაბამება მათ ასაკობრივ თავისებურებებს?

- დიახ, ყველა შეესაბამება
- მხოლოდ ზოგიერთი შეესაბამება
- არცერთი არ შეესაბამება

განმარტებები კითხვაზე 3.

ბავშვებისათვის განკუთვნილი ხელსაბანების კონსტრუქცია და აღჭურვილობა ჩაითვლება შესაბამისად მათი ასაკობრივი თავისებურებების, თუ შეუძლიათ დამოუკიდებლად მისწვდნენ საპონსა და წყალს.

კითხვა 4. ხელსაბანი ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის?

დიახ		არა	
------	--	-----	--

განმარტებები კითხვაზე 4.

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ერთი ხელსაბანი მაინც არსებობს, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ მოხმარებისათვის, პასუხი კითხვაზე იქნება დადებითი.

კითხვა 5: ხელსაბანთან ყოველთვის არის საპონი? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ ზოგჯერ არასდროს

განმარტებები კითხვაზე 5.

თუ დაწესებულების ხელსაბანებში ყოველთვის ხელმისაწვდომია საპონი, ბავშვების მიერ ხელის დაბანის საჭიროების 100% შემთხვევებში, რაც უზრუნველყოფილია სათანადო მარაგების არსებობით, შეგიძლიათ მონიშნოთ „დიახ“ გრაფა.

კითხვა 6: ხელსაბანთან ყოველთვის არის ერთჯერადი/ქალაქის ხელსახოცი?

დიახ ზოგჯერ არასდროს

განმარტებები კითხვაზე 6.

თუ დაწესებულების ხელსაბანებში ყოველთვის ხელმისაწვდომია ერთჯერადი/ქალაქის ხელსახოცი, ბავშვების მიერ ხელის დაბანის საჭიროების 100% შემთხვევებში, რაც უზრუნველყოფილია სათანადო მარაგების არსებობით, შეგიძლიათ მონიშნოთ „დიახ“ გრაფა.

კითხვა 7: დაწესებულებაში ისწავლება ჰიგიენა? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ		არა	
------	--	-----	--

კითხვა 8: რას მოიცავს ჰიგიენის სწავლება? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი)

- ხელების დაბანა
- კბილების გახეხვა
- პირადი ჰიგიენა ზოგადად

განმარტებები კითხვაზე 7 და კითხვაზე 8.

ჰიგიენური განათლება შეიძლება მიეწოდებოდეს ბავშვებს, როგორც სპეციალური ცალკეული მეცადინეობის სახით, ან გათვალისწინებულ იყოს სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით და მოიცავდეს პირადი ჰიგიენის სხვადასხვა ასპექტებს, მაგრამ აუცილებელად მოიცავდეს ხელების დაბანის მნიშვნელობას და ტრენინგს საპნით ხელების დაბანის სწორი ტექნიკის ასათვისებლად.

ნაწილი V. ნარჩენების მართვა და დასუფთავება

ინდიკატორი: დაწესებულებაში რეგულარულად ხორციელდება მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების გატანა, დადგენილია და კონტროლდება დასუფთავების რეჟიმი.

ძირითადი კითხვები

კითხვა 1: ყოველდღიურად გროვდება და გაიტანება დაწესებულებიდან მყარი ნარჩენები (ნაგავი)? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

განმარტებები კითხვაზე 1.

პასუხი დადებითი უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაწესებულებაში ყოველდღიურად ხდება მყარი ნარჩენების შეგროვება სხვადასხვა სათავსიდან და დაგროვება ერთ ადგილას, საიდანაც გაიტანება განსაზღვრული ინტერვალით (მაგალითად, ყოველ მეორე დღეს, კვირაში ერთხელ და ა.შ.).

კითხვა 2: რეგულარულად გაიტანება ტუალეტებისა და სხვა სათავსების ჩამდინარე წყლები? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

განმარტებები კითხვაზე 2.

თუ დაწესებულებას გააჩნია საასენიზაციო ან სეპტიკური ავზი ჩამდინარე წყლების დაგროვებისათვის, პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს მისი დაცლა, გავსების თავიდან ასაცილებლად. თუ მისი შენობა მიერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან და არ არსებობს დამატებითი საჭიროება ჩამდინარე წყლების გატანისათვის, პასუხი უნდა იყოს დადებითი.

კითხვა 3: დაწესებულებას გააჩნია საკუთარი დოკუმენტი/ინსტრუქცია/წესი სათავსების დასუფთავების პროცედურებისა და მათი კონტროლის წესის შესახებ? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

განმარტებები კითხვაზე 3.

პასუხი დადებითი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას გააჩნია ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი (სტანდარტული ოპერაციული პროცედურები), სადაც აღწერილია სათავსებისა და ბავშვთა მოხმარების საგნების (მათ შორის ქოთნების, სათამაშოების, თეთრეულის, საბუნების, ლეიბების, ბალიშების და ა.შ.) დასუფთავების წესები და სიხშირე, გამოყენებული ინვენტარი, ჰიგიენური საშუალებები, დასუფთავების კონტროლის წესები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 28 ივლისის №01-172/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საბავშვო ბაღში“ მიხედვით და ქვემოთ მოყვანილი ასპექტების გათვალისწინებით:

დაწესებულებაში უნდა მოქმედებდეს დასუფთავების კონტროლის სისტემა სათანადო დოკუმენტირებით, ხოლო დასუფთავება უნდა ხორციელდებოდეს შემდეგი წესების დაცვით:

- ყველა ოთახი ექვემდებარება დასუფთავებას სველი წესით ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით, არანაკლებ დღეში ორჯერ გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში მტერისა და დაბინძურების სავალდებულო წმენდით სხვადასხვა ზედაპირებიდან (იატაკი, პლინტუსები, ავეჯის ქვეშ სვრცეები, ფანჯრის რაფები, რადიატორები და ა.შ.), განსაკუთრებით ხშირად შეხებადი ზედაპირებიდან (კარისა და კარადების სახელურები, ჩამრთველები, ფანჯრის სახელურები).
- ჯგუფის ოთახებში არსებული მაგიდების ზედაპირები უნდა გაირეცხოს ცხელი წყლით ყოველი სადილობის/საკვების მიღების შემდეგ სპეციალურად მაგიდის წმენდისათვის განკუთვნილი ტილოს გამოყენებით, რომელიც მარკირებულია, ირეცხება, შრება და ინახება თავდახურულ კონტეინერში.

- სკამები, საფენების/“პამპერსის“ გამოსაცვლელი მაგიდები, მანეჟი და სხვა აღჭურვილობა, ასევე მუშაობის გულსაფენები გამოყენების შემდეგ უნდა გაიწმინდოს ცხელი წყლითა და საპნით; ნაჭრის გულსაფენები - გაირეცხოს.
- დასალაგებელი ინვენტარი და ტილოები უნდა იყოს მარკირებული სათავსების ტიპების მიხედვით (ჯგუფის ოთახი, სამზარეულო, ტუალეტი და ა.შ.) დაუშვებელია ერთი და იგივე დასალაგებელი ინვენტარის გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის.
- ხალიჩები ყოველდღიურად უნდა იქნეს გაწმენდილი მტვერსასრუტითა და სველი ჯაგრისით. რეკომენდებულია ხალიჩების ქიმწმენდა არანაკლებ წელიწადში ერთხელ.
- სანიტარიულ-ტექნიკური აღჭურვილობა ყოველდღიურად უნდა იქნეს დეზინფიცირებული, მიუხედავად ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა. უნიტაზების დასაჯდომები, ჩამრეცხი ბაკის სახელურები/ხელით შეხების ადგილები ყოველდღიურად უნდა გაირეცხოს თბილი წყლითა და საპნით, ან ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ჰიგიენური საშუალებით.
- ბავშვებისათვის განკუთვნილი ქოთნები ექვემდებარება რეცხვას ჯაგრისით ყოველი გამოყენების შემდეგ. აბაზანები, ხელსაბანი ნიჟარები, უნიტაზები უნდა გაირეცხოს ორჯერ დღეში ჯაგრისით ჰიგიენური და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით.
- გენერალური დასუფთავება უნდა ჩატარდეს ყოველთვიურად, ჰიგიენური და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით. ფანჯრები გარედან და შიგნიდან უნდა გაიწმინდოს დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 2-ჯერ წელიწადში (გაზაფხულსა და შემოდგომაზე)
- დაუშვებელია რაიმე სახის სარემონტო სამუშაოების წარმოება დაწესებულების ფუნქციონირებისას ბავშვების თანდასწრებით.
- თეთრეულისა და პირსახოცების გამოცვლა უნდა ხდებოდეს დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ყოველკვირეულად. თეთრეული და პირსახოცები უნდა იყოს მარკირებული.
- სუფთა თეთრეული დაპაკეტებული უნდა ინახებოდეს კარადებში.
- საბნები, ლეიბები, ბალიშები ექვემდებარება განიავებას გენერალური დასუფთავებისას, ხოლო წელიწადში ერთხელ - უნდა ჩაუტარდეს ქიმწმენდა.

კითხვა 4: დაწესებულების სათავსების დასალაგებელი ინვენტარის რაოდენობა შეესაბამება არსებულ ინფრასტრუქტურას და მარკირებულია სათავსების ტიპების მიხედვით? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

განმარტებები კითხვაზე 4.

პასუხი დადებითი შიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების დასალაგებელი ინვენტარი და ტილოები მარკირებულია სათავსების ტიპების მიხედვით (ჯგუფის ოთახი, სამზარეულო, ტუალეტი და ა.შ.) და არ გამოიყენება ერთი და იგივე დასალაგებელი ინვენტარი სხვადასხვა მიზნებისათვის.

კითხვა 5: სათამაშოები ექვემდებარება ყოველდღიურ წმენდასა და რეცხვას სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ, მარკირებულ ჭურჭელში? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

ამ კითხვაზე პასუხი დადებითი შიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათამაშოები ექვემდებარება რეცხვას ყოველდღიურად, დღის ბოლოს, საპნით/ჰიგიენური საშუალებითა და არანაკლებ 37°C გამდინარე წყლით, სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ, მარკირებულ ჭურჭელში (ან სარეცხ მანქანაში) შემდგომი გაშრობით ჰაერზე. სათამაშოები, რომელიც ვერ უძლებს რეცხვას და წმენდას სველი წესით, შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ დიდაქტიკური მიზნებისათვის.

კითხვა 6: დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სადეზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

პასუხი დადებითი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კომპანიასთან, რომელიც რეგულარულად ატარებს სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოებს მწერებისა და მღრღნელების შემოღწევის თავიდან ასაცილებლად, რაც აღირიცხება შესაბამის ჟურნალში.

მონიტორინგის ინსტრუმენტი
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის
დაწესებულებებისათვის

მოდული : წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საქართველოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

კითხვარი ერთიან საინფორმაციო სისტემაში ინტეგრაციისათვის

მონიტორინგის ინსტრუმენტი

ნაწილი I. ინფორმაცია ბაღის შესახებ

- კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი მკვლევარის/ინტერვიუერის სახელი და გვარი
- კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი მკვლევარის/ინტერვიუერის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, ტელეფონი: სამსახური, მობილური)
- კლასტერის ნომერი
- ძირითადი რესპონდენტის სახელი და გვარი
- ძირითადი რესპონდენტის თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, ტელეფონი: სამსახური, მობილური)
- კითხვარის შევსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)
- დაწესებულების სახელწოდება
- დაწესებულების საიდენტიფიკაციო ნომერი
- დაწესებულების სამართლებრივი ფორმა (საჯარო/კერძო)
- დაწესებულების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო/უწყება
- დაწესებულების არეალი (ქალაქი/სოფელი)
- დაწესებულების მისამართი
- სტატისტიკური მახასიათებლები (ბავშვების საერთო რაოდენობა; გოგონების რაოდენობა; ბიჭების რაოდენობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით)

- 2-დან 3 წლამდე:

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- 3-დან 4 წლამდე

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- 4-დან 5 წლამდე

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- 5 და მეტი წლის

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- ცვლების რაოდენობა დაწესებულებაში (ერთცვლიანი; ორცვლიანი; სამცვლიანი)
- დაწესებულების მუშაობის საათები
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები (საერთო რაოდენობა; გოგონების რაოდენობა; ბიჭების რაოდენობა)
- აღმზრდელ-პედაგოგი (საერთო რაოდენობა; ქალების რაოდენობა; მამაკაცების რაოდენობა)
- დაწესებულების სხვა პერსონალი (საერთო რაოდენობა; ქალების რაოდენობა; მამაკაცების რაოდენობა)
- მოქმედებს თუ არა დაწესებულებაში მშობელთა გაერთიანება?
- რა სახის დახმარებას უწევს დაწესებულებას ეს გაერთიანება წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) საკითხებში?
- რომელი უწყების დაქვემდებარებაშია დაწესებულება?
- გააჩნია თუ არა დაწესებულებას ყოველწლიური თვითშეფასების ან/და გაუმჯობესების დაგეგმვის რაიმე სახის სისტემა? მოიცავს ეს სისტემა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებს (WASH)?

ნაწილი II. წყალი (წყალმომარაგების წყარო და მოწოდებული წყლის ხარისხი)

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყალმომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის.

კითხვა 1. როგორია წყალმომარაგების ძირითადი წყარო ბაღისთვის? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე)

1	წყალგაყვანილობის მილსადენი შეყვანილი შენობაში	<input type="checkbox"/>
2	წყალგაყვანილობის მილსადენი შეყვანილი ეზოში/ნაკვეთზე	<input type="checkbox"/>
3	წყალგაყვანილობის მილსადენი საერთო მოხმარების ონკანით სხვა მოსახლეობასთან	<input type="checkbox"/>
4	არტეზიული ჭა	<input type="checkbox"/>
5	დაცული ჭა	<input type="checkbox"/>
6	დაუცველი ჭა	<input type="checkbox"/>
7	დაცული წყარო	<input type="checkbox"/>
8	დაუცველი წყარო	<input type="checkbox"/>
9	შეგროვებული წვიმის წყალი	<input type="checkbox"/>
10	ბუტირებული/ჩამოსხული წყალი	<input type="checkbox"/>

11	დიდ-ცისტერნიანი წყალსაზიდი სატვირთო მანქანა	<input type="checkbox"/>
12	პატარა საზიდარზე განთავსებული ცისტერნა/ბიდონი	<input type="checkbox"/>
13	ზედაპირული წყალი (მდინარე, ტბა, არხი, გუბე, საირიგაციო არხი)	<input type="checkbox"/>
14	დაწესებულებაში ან მის შემოგარენში წყალმომარაგების წყარო არ არის (გადადით მე-5 კითხვაზე)	<input type="checkbox"/>
15	სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ) _____	<input type="checkbox"/>

კითხვა 2: **დააკვირდით**, თუ რა მიზნით გამოიყენება წყალმომარაგების ძირითადი წყარო? (აღნიშნეთ ყველა შესაბამისი ვარიანტი)

- სასმელად
- ხელების დასაბანად
- ბავშვების ჩასაბანად
- ტუალეტების ჩასარეცხად
- საკვების მოსამზადებლად
- ნებისმიერი სხვა მიზნით

კითხვა 3: როგორი ინტენსივობით ფუნქციონირებს წყალმომარაგების წერტილი? *(მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)*

- 5-7 დღე კვირაში
- 2-4 დღე კვირაში
- 2 დღეზე ნაკლები კვირაში

კითხვა 4: **დააკვირდით**, ამჟამად თუ ფუნქციონირებს წყალმომარაგების ძირითადი წყარო? (მონიშნეთ მხოლოდ მონიშნეთ ერთი პასუხი)

- დიახ
- არა
- ნაწილობრივ

თუ პასუხია „დიახ“, გადადით მე-6 კითხვაზე

კითხვა 5: **დააზუსტეთ დეტალები**, თუ წყალმომარაგების ძირითადი წყარო არ ფუნქციონირებს, ან ფუნქციონირებს ნაწილობრივ, რამდენი ხანია რაც გრძელდება არსებული მდგომარეობა? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- ერთ დღეზე ნაკლები

ერთ დღეზე მეტი, მაგრამ ერთ კვირაზე ნაკლები

ერთ კვირაზე მეტი, მაგრამ ერთ თვეზე ნაკლები

ერთ თვეზე მეტი

კითხვა 6: როდესაც წყალმომარაგების წერტილი ფუნქციონირებს, უზრუნველყოფს თუ არა დაწესებულების ყველა საჭიროების დაკმაყოფილებას, მათ შორის სასმელად, ხელების დასაბანად, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისათვის და ა.შ. (მონიშნეთ მხოლოდ მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ არა არ ვიცი

კითხვა 7: გააჩნია თუ არა დაწესებულებას წყალმომარაგების ალტერნატიული წყარო, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ძირითადი წყაროს მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ არა

კითხვა 8: ექვემდებარება თუ არა სასმელი წყალი დამუშავებას/გაუვნებელოფას დაღვეამდე? (მონიშნეთ მხოლოდ მონიშნეთ ერთი პასუხი)

თუ პასუხია „დიახ, ყოველთვის“ გადადით მე-10 კითხვაზე

დიახ, ყოველთვის ზოგჯერ არასდროს

კითხვა 9: თუ წყალი ყოველთვის არ ექვემდებარე დამუშავებას, მიუთითეთ რატომ? (მონიშნეთ ყველა შესაბამისი ვარიანტი)

ვინაიდან, წყალმომარაგების წყარო მიიჩნევა უსაფრთხოდ

ვინაიდან დაწესებულებაში არ არის ფილტრები ან საკმარისი რაოდენობის გამწმენდი რეაგენტები

ვინაიდან დაწესებულებაში არავინ იცის, როგორ უნდა დამუშავდეს წყალი

ვინაიდან დაწესებულების დირექტორმა არ იცის, საჭიროა თუ არა ამის კეთება

ვინაიდან დაწესებულების პერსონალს არ აქვს შესაბამისი დრო

ვინაიდან ბავშვების უმრავლესობა სვამს ბუტილირებულ წყალს - ადგილზე ნაყიდს და/ან მოტანილს შინიდან

სხვა ნებისმიერი სხვა მიზეზი (მიუთითეთ)

კითხვა 10: თუ წყალი ექვემდებარება დამუშავებას ყოველთვის ან ზოგჯერ, ჩვეულებრივ როგორ ამუშავებენ სასმელად გამიზნულ წყალს? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი ვარიანტი. თუ გამოიყენება რამდენიმე მეთოდი, ამოარჩიეთ ყველაზე ხშირად გამოყენებადი)

ადუღება

ქლორირება (ნებისმიერი)

ფილტრაცია ქსოვილის გამოყენებით

წყალის ფილტრის გამოყენება (კერამიკული, ქვიშის, კომპოზიტური და ა.შ.)

დეზინფექცია მზეზე

დალექვა

დამუშავების სხვა მეთოდი (მიუთითეთ)

კითხვა 11. **დააკვირდით** კარგად არის თუ არა თავდახურული სასმელი წყლის შესანახი ჭურჭელი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ

არა

სასმელი წყლის შესანახი ჭურჭელი არ არის

კითხვა 12. **დააკვირდით**, რა სახის ჭურჭელს (ჭიქა, ფინჯანი და ა.შ.) იყენებენ ბავშვები წყლის დასალევად? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი ვარიანტი)

საკუთარ, მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭელს

ერთჯერად ჭიქებს

საერთო მოხმარების ჭურჭელს (მაგალითად, საერთო ფინჯანი ან ჩამჩა)

სვამენ წყალს პირდაპირ ონკანიდან ან რეზინის მილიდან

სხვა (მიუთითეთ)

კითხვა 13: **დააკვირდით**, წყალმომარების წერტილები თუ არის ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის?

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

ნაწილი III. სანიტარია

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის ჯიხურები გოგონებისათვის, ბიჭებისათვის, აღმზრდელ-პედაგოგებისა და სხვა პერსონალისათვის, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

ძირითადი კითხვები

კითხვა 1: **დააკვირდით**, სად არის განთავსებული ტუალეტის ჯიხურები? (მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი)

1	დაწესებულების შენობის შიგნით	<input type="checkbox"/>
2	დაწესებულების შენობის გარეთ	<input type="checkbox"/>
3	ტუალეტი საზიაროა სხვასთან	<input type="checkbox"/>
4.	დაწესებულებას არ აქვს ტუალეტი	<input type="checkbox"/>

კითხვა 2: **დააკვირდით**, რა ტიპის ტუალეტია დაწესებულებაში? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი)

ჩარეცხვადი ტუალეტი უნიტაზით, რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი ტუალეტი უნიტაზით, რომელიც მიერთებულია სეპტიკურ რეზერვუარზე/ავზზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი "თურქული ჯამის" ტიპის ტუალეტი, რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი "თურქული ჯამის" ტიპის ტუალეტი, რომელიც მიერთებულია სეპტიკურ რეზერვუარზე/ავზზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი ტუალეტი, ღია დრენირების სისტემით	<input type="checkbox"/>
„თურქული ჯამის“ ან „ჩემის“ ტიპის ტუალეტი-სეპტიკი, ჩარეცხვის გარეშე, ცემენტის ან სხვა მყარი და დაცული ნაგებობა	<input type="checkbox"/>
სათლი (ვედრო)	<input type="checkbox"/>

დაკიდებული ტუალეტი/დაკიდებული „თურქული ჯამის“ ან „ჩეჩმის“ ტიპის ტუალეტი	<input type="checkbox"/>
არ არის ტუალეტი (გადადით მე-4 ნაწილზე)	<input type="checkbox"/>
სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ)_____	<input type="checkbox"/>

კითხვა 3: დააკვირდით, რამდენი მოქმედი ტუალეტის ჯიხურია დაწესებულებაში? (მიუთითეთ რიცხვი)

მოცემულ ცხრილში, თითოეული ტუალეტის ჯიხური უნდა იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ ერთხელ.

	მოქმედი ¹	ნაწილობრივ მოქმედი ²	მწყობრიდან გამოსული ³
მხოლოდ გოგონებისთვის			
მხოლოდ ბიჭებისთვის			
საერთო ტუალეტის ჯიხურები გოგონებისა და ბიჭებისათვის			
მხოლოდ მდებარეობითი სქესის პედაგოგ-აღმზრდელებისა და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის			
მხოლოდ მამრობითი სქესის პედაგოგ-აღმზრდელებისა და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის			
საერთო ტუალეტის ჯიხურები ქალი და მამაკაცი დაწესებულების პერსონალისათვის			
საერთო ტუალეტის ჯიხურები ყველასთვის			

კითხვა 4: დააკვირდით, ზავშვებისათვის განკუთვნილი ტუალეტების კონსტრუქცია და აღჭურვილობა თუ შეესაბამება მათ ასაკობრივ თავისებურებებს? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ, ყველა შეესაბამება

¹ ტუალეტს არ აქვს ფიზიკური დაზიანება და შესაძლებელია მისი გამოყენება

² ტუალეტის გამოყენება შესაძლებელია, თუმცა გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ხასიათის გარკვეული დეფექტები (მაგალითად, დაზიანებული ბეტონის კონსტრუქციები, მორყეული კარები, დაზიანებული სახურავი და ა.შ.), რომელშიც რემონტს საჭიროებს.

³ ტუალეტი არსებობს, მაგრამ იმდენად არის დაზიანებული ან იმდენად სერიოზულად არის მოძველებული, რომ შეუძლებელია მისი გამოყენება (მაგალითად, გატეხილია უნიტაზი, არ არის კარები, ჩამოდის წყალი და ა.შ.)

მხოლოდ ზოგიერთი შეესაბამება

არცერთი არ შეესაბამება

კითხვა 5: **დააკვირდით**, თუ რამდენად სუფთაა ტუალეტები? (შეავსეთ, შესაბამისი ვარიანტი პლუსის დასმით)

	სუფთა ⁴	საკმარისად სუფთა ⁵	ბინძური ⁶
მხოლოდ გოგონებისთვის			
მხოლოდ ბიჭებისთვის			
საერთო ტუალეტის ჯიხურები ბავშვებისთვის			
საერთო ტუალეტის ჯიხურები პერსონალისათვის			

კითხვა 5: **დააკვირდით**, არის თუ არა დაწესებულებაში ინდივიდუალური მოხმარების ქოთნები 2-დან 5 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისათვის?

დიახ არა

კითხვა 6: ტუალეტი ხელმისაწვდომი და მოხერხებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის?

დიახ არა

კითხვა 7: ტუალეტი ხელმისაწვდომი და მოხერხებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილებისათვის?

დიახ არა

⁴ ტუალეტში არ არის სუნი, შიგნით და მის გარშემო არ არის ფეკალიების კვალი, ასევე, ბუზები და ნაგავი

⁵ ტუალეტში არის გარკვეული სუნი, მცირე რაოდენობით ნაგავი და/ან ბუზები, მაგრამ არ არის ფეკალიების კვალი

⁶ ტუალეტში არის სუნი ან/და ფეკალიები, ან/და მნიშვნელოვანი რაოდენობის ბუზები, ან/და დიდი რაოდენობით ნაგავი.

ნაწილი IV. ჰიგიენა

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ხელსაბანები, სადაც ყოველთვის ხელმისაწვდომია საპირი ყველა ბავშვისათვის და უზრუნველყოფილია ჰიგიენის სწავლება.

კითხვა 1: დააზუსტეთ დეტალები, დაწესებულებაში ისწავლება თუ არა ჰიგიენა? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

თუ პასუხია „არა“ გადადით მე-5 კითხვაზე

კითხვა 2: დააზუსტეთ დეტალები, რას მოიცავს ჰიგიენის სწავლება? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი)

- ხელების დაბანა ცალკე მოდულის სახით
- კბილების გახეხვა ცალკე მოდულის სახით
- პირადი ჰიგიენის მოდულის სახით
- სპეციალური სასწავლო მოდული არ არის

კითხვა 3: დააზუსტეთ დეტალები, ექცევა თუ არა განსაკუთრებული ყურადღება საპნით ხელების დაბანის სწავლებას, ჰიგიენის სწავლების ფარგლებში? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

დიახ არა ნაწილობრივ არ ვიცი

კითხვა 4: დააზუსტეთ დეტალები, არის თუ არა დაწესებულების განრიგში გამოყოფილი ცალკე დრო ხელების დაბანისათვის საკვების მიღებამდე? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ არა არ ვიცი

კითხვა 5: დააკვირდით, არის თუ არა დაწესებულებაში ხელსაბანები? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

თუ პასუხია არა, გადადით განყოფილებაზე „ნარჩენების მართვა და დასუფთავება“

კითხვა 6: რამდენი ხელსაზანი ნიჟარაა დაწესებულებაში? (მიუთითეთ რიცხვი)

	მოქმედი	მწყობრიდან გამოსული
ტუალეტებში ან მათ სიახლოვეს		
ჯგუფის ოთახებში		
დაწესებულების ტერიტორიაზე (მაგრამ არა ტუალეტის სიახლოვეს)		
სხვა (მიუთითეთ)		

კითხვა 7. ბავშვებისათვის განკუთვნილი ხელსაზანების კონსტრუქცია და აღჭურვილობა შეესაბამება მათ ასაკობრივ თავისებურებებს?

- დიახ, ყველა შეესაბამება
- მხოლოდ ზოგიერთი შეესაბამება
- არცერთი არ შეესაბამება

კითხვა 8. **დააკვირდით**, ხელსაზანი ხელმისაწვდომია თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის?

დიახ არა

კითხვა 9: **დააკვირდით**, არის თუ არა ხელსაზანთან საპონი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

- დიახ ყველა შემოწმებულ ხელსაზანში არის საპონი
- დიახ, შემოწმებული ხელსაზანების 50% მეტში არის საპონი
- შემოწმებული ხელსაზანების მხოლოდ ნახევარშია საპონი
- არა, საპონი არ არის

კითხვა 10: **დააკვირდით**, ხელსაზანთან არის თუ არა ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

- დიახ ყველა შემოწმებულ ხელსაზანში არის ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი
- დიახ, შემოწმებული ხელსაზანების 50% მეტში არის ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი

შემოწმებული ხელსაბანების მხოლოდ ნახევარშია ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი

არა, ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი არ არის

ნაწილი V. ნარჩენების მართვა და დასუფთავება

ინდიკატორი: დაწესებულებაში რეგულარულად ხორციელდება მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების გატანა, დადგენილია და კონტროლდება დასუფთავების რეჟიმი.

კითხვა 1: როგორ არის ორგანიზებული დაწესებულებაში მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

ნარჩენებს დაწესებულება აგროვებს სპეციალურ კონტეინერში/ბუნკერში, ხოლო გააქვს სპეციალიზებულ მუნიციპალურ სამსახურს

ნარჩენებს აგროვებს დაწესებულება და ყრის ნაგავსაყრელზე დაწესებულების ეზოში ან მის სიახლოვეს

ნარჩენებს აგროვებს დაწესებულება და წვავს დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს

სხვა (მიუთითეთ)

არ ვიცი

კითხვა 2: რა სიხშირით გააქვთ დაწესებულებიდან მყარი ნარჩენები? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

დღეში ერთხელ მაინც

ორ დღეში ერთხელ ან კვირაში ერთხელ მაინც

ნაკლებად, ვიდრე კვირაში ერთხელ

სხვა (მიუთითეთ)

არ ვიცი

კითხვა 3: უსაფრთხოდ გაიტანება თუ არა დაწესებულების ტუალეტებისა და სხვა სათავსების ჩამდინარე წყლები? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

დიახ

არა

არ ვიცი

კითხვა 4: დააკვირდით, შემოწმების მომენტისთვის იყო თუ არა გავსებული ან გადავსებული თხრილი/სეპტიკური რეზერვუარი/ავზი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

დიახ ყველა

დიახ, შემოწმებული ტუალეტების 50% მეტი

შემოწმებული ტუალეტების ნახევარი ან ნაკლები

არა, არცერთი

კითხვა 5: **დააკვირდით**, მოქმედებს თუ არა დაწესებულებაში ჩამდინარე წყლების დრენირების სისტემა? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი). **დააზუსტეთ დეტალები**: დრენირების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს წვიმის წყლის, რეზერვუარისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინებას.

დიახ არა დიახ, მხოლოდ ნაწილობრივ მოქმედი, დაუსრულებელი სისტემა

კითხვა 6: **დააკვირდით**, სუფთა და მოწესრიგებულია თუ არა დაწესებულების შენობის სათავსები? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი). ეცადეთ დაათვალიეროთ ყველა სათავსი, ან უმრავლესობა მაინც.

დიახ არა მხოლოდ ნაწილობრივ

კითხვა 7: **დააკვირდით**, არის თუ არა დაწესებულებაში მარკირებული დასალაგებელი ინვენტარი და საშუალებები? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

დიახ არა მხოლოდ ნაწილობრივ

კითხვა 8: **დააკვირდით**, გააჩნია თუ არა დაწესებულებას (ყოველდღიური, ყოველვირეული, ყოველთვიური) დასუფთავების წესები, გრაფიკი და აწარმოებს თუ არა მონიტორინგს? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

მოდული : წყალი, სანიტარია და ჰიგიენა საქართველოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

კითხვარი ერთიან საინფორმაციო სისტემაში ინტეგრაციისათვის

განხორციელების გაიდლაინი

ნაწილი I. ინფორმაცია ბალის შესახებ

- კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი მკვლევარის/ინტერვიუერის სახელი და გვარი
- კითხვარის შევსებაზე პასუხისმგებელი მკვლევარის/ინტერვიუერის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, ტელეფონი: სამსახური, მობილური)
- კლასტერის ნომერი
- ძირითადი რესპონდენტის სახელი და გვარი
- ძირითადი რესპონდენტის თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, ტელეფონი: სამსახური, მობილური)
- კითხვარის შევსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)
- დაწესებულების სახელწოდება
- დაწესებულების საიდენტიფიკაციო ნომერი
- დაწესებულების სამართლებრივი ფორმა (საჯარო/კერძო)
- დაწესებულების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანო/უწყება
- დაწესებულების არეალი (ქალაქი/სოფელი)
- დაწესებულების მისამართი
- სტატისტიკური მახასიათებლები (ბავშვების საერთო რაოდენობა; გოგონების რაოდენობა; ბიჭების რაოდენობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით)

- 2-დან 3 წლამდე:

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- 3-დან 4 წლამდე

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- 4-დან 5 წლამდე

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- 5 და მეტი წლის

გოგონები		ბიჭები	
----------	--	--------	--

- ცვლების რაოდენობა დაწესებულებაში (ერთცვლიანი; ორცვლიანი; სამცვლიანი)
- დაწესებულების მუშაობის საათები
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები (საერთო რაოდენობა; გოგონების რაოდენობა; ბიჭების რაოდენობა)
- აღმზრდელ-პედაგოგი (საერთო რაოდენობა; ქალების რაოდენობა; მამაკაცების რაოდენობა)
- დაწესებულების სხვა პერსონალი (საერთო რაოდენობა; ქალების რაოდენობა; მამაკაცების რაოდენობა)
- მოქმედებს თუ არა დაწესებულებაში მშობელთა გაერთიანება?
- რა სახის დახმარებას უწევს დაწესებულებას ეს გაერთიანება წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) საკითხებში?
- რომელი უწყების დაქვემდებარებაშია დაწესებულება?
- გააჩნია თუ არა დაწესებულებას ყოველწლიური თვითშეფასების ან/და გაუმჯობესების დაგეგმვის რაიმე სახის სისტემა? მოიცავს ეს სისტემა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებს (WASH)?

ნაწილი II. წყალი (წყალმომარაგების წყარო და მოწოდებული წყლის ხარისხი)

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყალმომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის.

კითხვა 1. როგორია წყალმომარაგების ძირითადი წყარო დაწესებულებისთვის? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე)

1	წყალგაყვანილობის მილსადენი შეყვანილი შენობაში	<input type="checkbox"/>
2	წყალგაყვანილობის მილსადენი შეყვანილი ეზოში/ნაკვეთზე	<input type="checkbox"/>
3	წყალგაყვანილობის მილსადენი საერთო მოხმარების ონკანით სხვა მოსახლეობასთან	<input type="checkbox"/>
4	არტეზიული ჭა	<input type="checkbox"/>
5	დაცული ჭა	<input type="checkbox"/>
6	დაუცველი ჭა	<input type="checkbox"/>
7	დაცული წყარო	<input type="checkbox"/>
8	დაუცველი წყარო	<input type="checkbox"/>

9	შეგროვებული წვიმის წყალი	<input type="checkbox"/>
10	ბუტილირებული/ჩამოსხული წყალი	<input type="checkbox"/>
11	დიდ-ცისტერნიანი წყალსაზიდი სატვირთო მანქანა	<input type="checkbox"/>
12	პატარა საზიდარზე განთავსებული ცისტერნა/ბიდონი	<input type="checkbox"/>
13	ზედაპირული წყალი (მდინარე, ტბა, არხი, გუბე, საირიგაციო არხი)	<input type="checkbox"/>
14	დაწესებულებაში ან მის შემოგარენში წყალმომარაგების წყარო არ არის (გადადით მე-5 კითხვაზე)	<input type="checkbox"/>
15	სხვა <i>(გთხოვთ დააკონკრეტოთ)</i> _____	<input type="checkbox"/>

განმარტებები კითხვაზე 1.

დააკვირდით, ამოირჩიეთ და მიუთითეთ დაწესებულების წყალმომარაგების, როგორც ძირითადი, ასევე ალტერნატიული წყაროები.

წყალმომარაგების ტიპები მოყვანილია რეკომენდაციების - *Core Questions on Drinking Water and Sanitation for Household Surveys from the WHO/UNICEF Joint Monitoring Programme for Water Supply and Sanitation (JMP)* მიხედვით. წყალმომარაგების ტიპების განსაზღვრება მოცემულია გაიდლაინის დანართში 1, სადაც ასევე არის მითითებული წარმოადგენს თუ არა იგი „გაუმჯობესებულს“. წყალმომარაგების ტიპების ქართულენოვანი განსაზღვრებები შესაძლებელია შეიცვალოს ან გამარტივდეს. მაგრამ, ვერ შეიცვლება დეფინიციები/განმარტებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სხვადასხვა ქვეყნებს შორის შედარებადობა.

კითხვა 2: დააკვირდით, თუ რა მიზნით გამოიყენება წყალმომარაგების ძირითადი წყარო? (აღნიშნეთ ყველა შესაბამისი ვარიანტი)

- სასმელად
- ხელების დასაბანად
- ბავშვების ჩასაბანად
- ტუალეტების ჩასარეცხად
- საკვების მოსამზადებლად
- ნებისმიერი სხვა მიზნით

განმარტებები კითხვაზე 2.

დააკვირდით, თუ როგორია წყალმომარაგების ძირითადი წყაროს გამოყენების მიზნები და მიუთითეთ ყველა შესაბამისი პასუხი. ამავდროულად, შეისწავლეთ ალტერნატიული წყაროების გამოყენების მიზნები, წყალმომარაგების სხვა წყაროს არსებობის შემთხვევაში.

კითხვა 3: როგორი ინტენსივობით ფუნქციონირებს წყალმომარაგების წერტილი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- 5-7 დღე კვირაში 2-4 დღე კვირაში 2 დღეზე ნაკლები კვირაში

განმარტებები კითხვაზე 3.

დააზუსტეთ დეტალები დაწესებულების მესვეურებთან და მიუთითეთ წყალმომარაგების ის რეჟიმი, რომელიც გააჩნია მას. თუ წყალმომარაგება 24 საათიან რეჟიმში ხორციელდება კვირაში 7 დღის მანძილზე, პასუხი უნდა იყოს „5-7 დღე კვირაში“. წყალმომარაგების სხვა რეჟიმების არსებობისას, ამოირჩიეთ სხვა პასუხი.

კითხვა 4: **დააკვირდით**, ამჟამად თუ ფუნქციონირებს წყალმომარაგების ძირითადი წყარო? (მონიშნეთ მხოლოდ მონიშნეთ ერთი პასუხი)

- დიახ არა ნაწილობრივ

თუ პასუხია „დიახ“, გადადით მე-6 კითხვაზე

განმარტებები კითხვაზე 4.

იმ დროისათვის, როდესაც თქვენ ავსებთ კითხვარს, თუ გამართულად ფუნქციონირებს წყალმომარაგების ძირითადი წყარო, პასუხი იქნება დადებითი. ხოლო, თუ მხოლოდ ალტერნატიული წყარო ფუნქციონირებს, ან არცერთი - პასუხი უნდა იყოს უარყოფითი.

კითხვა 5: **დააზუსტეთ დეტალები**, თუ წყალმომარაგების ძირითადი წყარო არ ფუნქციონირებს, ან ფუნქციონირებს ნაწილობრივ, რამდენი ხანია რაც გრძელდება არსებული მდგომარეობა? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- ერთ დღეზე ნაკლები
- ერთ დღეზე მეტი, მაგრამ ერთ კვირაზე ნაკლები
- ერთ კვირაზე მეტი, მაგრამ ერთ თვეზე ნაკლები

ერთ თვეზე მეტი

განმარტებები კითხვაზე 5.

დაზუსტეთ დეტალები დაწესებულების მესვეურებთან, თუ როგორია დროის ინტერვალი, რაც არ ფუნქციონირებს წყალმომარაგების ძირითადი წყარო, ხოლო შემდეგ მონიშნეთ პასუხის სათანადო ვარიანტი.

კითხვა 6: როდესაც წყალმომარაგების წერტილი ფუნქციონირებს, უზრუნველყოფს თუ არა დაწესებულების ყველა საჭიროების დაკმაყოფილებას, მათ შორის სასმელად, ხელების დასაბანად, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისათვის და ა.შ. *(მონიშნეთ მხოლოდ მონიშნეთ ერთი პასუხი)*

დიახ არა არ ვიცი

განმარტებები კითხვაზე 6.

დაზუსტეთ დეტალები და მიახლოებით შეაფასეთ, დაკმაყოფილებულია თუ არა WHO/UNICEF სტანდარტი, რომლის მიხედვით რეკომენდებულია არანაკლებ 5 ლიტრი წყალი დღეში ერთ ბავშვზე/ერთ პერსონალზე გადაანგარიშებით. თუ ასეთი მიახლოებითი გაანგარიშება შეუძლებელია მონიშნეთ ვარიანტი „არ ვიცი“

კითხვა 7: გააჩნია თუ არა დაწესებულებას წყალმომარაგების ალტერნატიული წყარო, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ძირითადი წყაროს მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში? *(მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)*

დიახ არა

განმარტებები კითხვაზე 7.

დაზუსტეთ დეტალები და პასუხი „დიახ“ მხოლოდ იმ შემთხვევაში მონიშნეთ, თუ ალტერნატიული წყარო აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს სასმელ წყალსა და ხელების დაბანაზე. თუ ერთადერთი ალტერნატივა გულისხმობს ბავშვების/მათი მშობლების მიერ წყლის თან წამოღებას სახლიდან, მაშინ იგი ვერ ჩაითვლება მისაღებად და ამიტომ, უნდა მონიშნოთ ვარიანტი „არა“.

კითხვა 8: ექვემდებარება თუ არა სასმელი წყალი დამუშავებას/გაუვნებელყოფას დალევამდე? *(მონიშნეთ მხოლოდ მონიშნეთ ერთი პასუხი)*

თუ პასუხია „დიახ, ყოველთვის“ გადადით მე-10 კითხვაზე

- დიახ, ყოველთვის ზოგჯერ არასდროს

განმარტებები კითხვაზე 8.

პასუხი „დიახ“ მონიშნეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ტარდება სასმელად განკუთვნილი წყლის რაიმე სახის დამუშავება/გაწმენდა, მაგალითად, ადუღება, ქლორირება, ქლორკირით დამუშავება, გაწმენდა კერამიკული, სანთლისებრი ან ბიოლოგიური/ბიოქვიმის ფილტრების გამოყენებით.

კითხვა 9: თუ წყალი ყოველთვის არ ექვემდებარე დამუშავებას, მიუთითეთ რატომ? (მონიშნეთ ყველა შესაბამისი ვარიანტი)

- ვინაიდან, წყალმომარაგების წყარო მიიჩნევა უსაფრთხოდ
- ვინაიდან დაწესებულებაში არ არის ფილტრები ან საკმარისი რაოდენობის გამწმენდი რეაგენტები
- ვინაიდან დაწესებულებაში არავინ იცის, როგორ უნდა დამუშავდეს წყალი
- ვინაიდან დაწესებულების დირექტორმა არ იცის, საჭიროა თუ არა ამის კეთება
- ვინაიდან დაწესებულების პერსონალს არ აქვს შესაბამისი დრო
- ვინაიდან ბავშვების უმრავლესობა სვამს ბუტილირებულ წყალს - ადგილზე ნაყიდს და/ან მოტანილს შინიდან
- სხვა ნებისმიერი სხვა მიზეზი (მიუთითეთ)

განმარტებები კითხვაზე 9.

დაზუსტეთ დეტალები დაწესებულების მესვეურების გამოკითხვის გზით, თუ რას მიიჩნევენ სასმელი წყლის არ დამუშავების მიზეზად და გააჩნიათ თუ არა ცოდნა და გამოცდილება, შესაბამისი სამუშაოების დასაგეგმად და გასახორციელებლად.

კითხვა 10: თუ წყალი ექვემდებარება დამუშავებას ყოველთვის ან ზოგჯერ, ჩვეულებრივ როგორ ამუშავებენ სასმელად გამიზნულ წყალს? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი ვარიანტი. თუ გამოიყენება რამდენიმე მეთოდი, ამოარჩიეთ ყველაზე ხშირად გამოყენებადი)

- ადუღება
- ქლორირება (ნებისმიერი)

- ფილტრაცია ქსოვილის გამოყენებით
- წყალის ფილტრის გამოყენება (კერამიკული, ქვიშის, კომპოზიტური და ა.შ.)
- დეზინფექცია მზეზე
- დალექვა
- დამუშავების სხვა მეთოდი (მიუთითეთ)

განმარტებები კითხვაზე 10.

დააზუსტეთ დეტალები დაწესებულების მესვეურთა გამოკითხვით, თუ რომელ მეთოდს ან მეთოდებს იყენებენ სასმელი წყლის დასამუშავებლად/გაუვნებელყოფისათვის.

კითხვა 11. დააკვირდით კარგად არის თუ არა თავდახურული სასმელი წყლის შესანახი ჭურჭელი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- დიახ
- არა
- სასმელი წყლის შესანახი ჭურჭელი არ არის

განმარტებები კითხვაზე 11.

დაათვალიერეთ დაწესებულების სათავსები და დააკვირდით, თუ როგორი სახის ჭურჭელი გამოიყენება სასმელი წყლის შესანახად და არის თუ არა იგი თავდახურული. გაითვალისწინეთ, რომ წყლის დამუშავების აღჭურვილობა, რომელშიც ინახება წყალი, როგორცაა კერამიკული ფილტრები, ასევე წარმოადგენს წყლის შესანახ ჭურჭელს.

კითხვა 12. დააკვირდით, რა სახის ჭურჭელს (ჭიქა, ფინჯანი და ა.შ.) იყენებენ ბავშები წყლის დასალევად? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი ვარიანტი)

- საკუთარ, მრავალჯერადი გამოყენების ჭურჭელს
- ერთჯერად ჭიქებს
- საერთო მოხმარების ჭურჭელს (მაგალითად, საერთო ფინჯანი ან ჩამჩა)
- სვამენ წყალს პირდაპირ ონკანიდან ან რეზინის მილიდან

სხვა (მიუთითეთ)

განმარტებები კითხვაზე 12.

დააკვირდით, თუ როგორს სვამენ ბავშვები წყალს დაწესებულების სხვადასხვა სათავსებში და რა სახის ჭურჭელს გამოიყენებენ. ასევე მიუთითეთ, თუ საერთოდ არ არის წყლის დასალევი ჭურჭელი.

კითხვა 13: **დააკვირდით**, წყალმომარების წერტილები თუ არის ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის?

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

განმარტებები კითხვაზე 13:

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში სასმელი წყლის ერთი წერტილი მაინც არსებობს, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ მოხმარებისათვის, პასუხი კითხვაზე იქნება დადებითი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი (1995 წლის 14 ივნისი)

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში“.

ნაწილი III. სანიტარია

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის ჯიხურები გოგონებისათვის, ბიჭებისათვის, აღმზრდელ-პედაგოგებისა და სხვა პერსონალისათვის, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

ძირითადი კითხვები

კითხვა 1: **დააკვირდით**, სად არის განთავსებული ტუალეტის ჯიხურები? (მონიშნეთ ყველა შესაბამისი პასუხი)

1	დაწესებულების შენობის შიგნით	<input type="checkbox"/>
2	დაწესებულების შენობის გარეთ	<input type="checkbox"/>

3	ტუალეტი საზიაროა სხვასთან	<input type="checkbox"/>
4.	დაწესებულებას არ აქვს ტუალეტი	<input type="checkbox"/>

განმარტებები კითხვაზე 1.

დაათვალიერეთ დაწესებულების მთელი შენობა და ტერიტორია. დააკვირდით, თუ სად არის განთავსებული ტუალეტები და მონიშნეთ ყველა შესაბამისი ვარიანტი.

კითხვა 2: რა ტიპის ტუალეტია ბაღში? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი)

ჩარეცხვადი ტუალეტი უნიტაზით, რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი ტუალეტი უნიტაზით, რომელიც მიერთებულია სეპტიკურ რეზერვუარზე/ავზზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი "თურქული ჯამის" ტიპის ტუალეტი, რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი "თურქული ჯამის" ტიპის ტუალეტი, რომელიც მიერთებულია სეპტიკურ რეზერვუარზე/ავზზე	<input type="checkbox"/>
ჩარეცხვადი ტუალეტი, ღია დრენირების სისტემით	<input type="checkbox"/>
„თურქული ჯამის“ ან „ჩეჩმის“ ტიპის ტუალეტი-სეპტიკი, ჩარეცხვის გარეშე, ცემენტის ან სხვა მყარი და დაცული ნაგებობა	<input type="checkbox"/>
სათლი (ვედრო)	<input type="checkbox"/>
დაკიდებული ტუალეტი/დაკიდებული „თურქული ჯამის“ ან „ჩეჩმის“ ტიპის ტუალეტი	<input type="checkbox"/>
არ არის ტუალეტი (გადადით მე-4 ნაწილზე)	<input type="checkbox"/>
სხვა <i>(გთხოვთ დააკონკრეტოთ)</i> _____	<input type="checkbox"/>

განმარტებები კითხვაზე 2.

ამოირჩიეთ და მიუთითეთ დაწესებულებაში არსებული ტუალეტის ტიპი.

ტუალეტების ტიპები მოყვანილია რეკომენდაციების - *Core Questions on Drinking Water and Sanitation for Household Surveys from the WHO/UNICEF Joint Monitoring Programme for Water Supply and Sanitation (JMP)* მიხედვით. ტუალეტების ტიპების ქართულენოვანი განსაზღვრებები შესაძლებელია შეიცვალოს ან გამარტივდეს. მაგრამ, ვერ შეიცვლება დეფინიციები/განმარტებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სხვადასხვა ქვეყნებს შორის შედარებადობა.

კითხვა 3: დააკვირდით, რამდენი მოქმედი ტუალეტის ჯიხურია დაწესებულებაში? (მიუთითეთ რიცხვი)

მოცემულ ცხრილში, თითოეული ტულეტის ჯიხური უნდა იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ ერთხელ.

	მოქმედი ⁷	ნაწილობრივ მოქმედი ⁸	მწყობრიდან გამოსული ⁹
მხოლოდ გოგონებისთვის			
მხოლოდ ბიჭებისთვის			
საერთო ტულეტის ჯიხურები გოგონებისა და ბიჭებისათვის			
მხოლოდ მდებარეობითი სქესის პედაგოგ-აღმზრდელებისა და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის			
მხოლოდ მამრობითი სქესის პედაგოგ-აღმზრდელებისა და დაწესებულების სხვა პერსონალისათვის			
საერთო ტულეტის ჯიხურები ქალი და მამაკაცი დაწესებულების პერსონალისათვის			
საერთო ტულეტის ჯიხურები ყველასთვის			

განმარტებები კითხვაზე 2.

ტულეტის ჯიხურად ჩაითვლება, როგორც ცალკე მდგომი ნაგებობა, რომელიც ერთ ადამიანზეა გათვლილი, ასევე ერთი კუბიკურა რამდენიმესაგან შემდგარ კომპლექსში დასაჯდომი უნიტაზით/იატაკის უნიტაზით/ორმოთი, რომელიც ერთ ბავშვზეა გათვლილი და სადაც შესაძლებელია პრივატულობის დაცვა.

დაწესებულებაში არსებული ტულეტის ტიპი, შერჩეული და მონიშნული უნდა იქნეს ჩამოთვლილ ვარიანტებს შორის, ან მიეთითოს აღწერილობა უკანასკნელ გრაფაში.

„მხოლოდ გოგონებისათვის“ ნიშნავს, რომ ტულეტის ამ ჯიხურებით სარგებლობა არ შეუძლიათ ბიჭებს და პირიქით „მხოლოდ ბიჭებისათვის“ განკუთვნილის შემთხვევაში. თუ ტულეტის ჯიხურებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც გოგონებს, ასევე ბიჭებს - მათი რაოდენობა მითითებული უნდა იქნეს საერთო ტულეტების გრაფაში.

⁷ ტულეტს არ აქვს ფიზიკური დაზიანება და შესაძლებელია მისი გამოყენება

⁸ ტულეტის გამოყენება შესაძლებელია, თუმცა გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ხასიათის გარკვეული დეფექტები (მაგალითად, დაზიანებული ბეტონის კონსტრუქციები, მორყეული კარები, დაზიანებული სახურავი და ა.შ.), რომელშიც რემონტს საჭიროებს.

⁹ ტულეტი არსებობს, მაგრამ იმდენად არის დაზიანებული ან იმდენად სერიოზულად არის მოძველებული, რომ შეუძლებელია მისი გამოყენება (მაგალითად, გატეხილია უნიტაზი, არ არის კარები, ჩამოდის წყალი და ა.შ.)

„მოქმედი“ ნიშნავს, რომ კითხვარის შევსების დროს ტულეტის ჯიხური ფუნქციონირებდა, არ იყო დაზიანებული და ბავშვები/მასწავლებლები/პერსონალი სარგებლობდნენ თავისუფლად.

„მწყობრიდან გამოსული“ ნიშნავს, რომ კითხვარის შევსების დროს ტულეტის ჯიხური არ ფუნქციონირებდა, იყო დაზიანებული/გადავსებული და ბავშვებს/პედაგოგ-აღმზრდელებს/პერსონალს არ შეეძლო სარგებლობა.

განმარტებები გამოტანილია სქოლიოში.

კითხვა 4: **დააკვირდით**, ბავშვებისათვის განკუთვნილი ტულეტების კონსტრუქცია და აღჭურვილობა თუ შეესაბამება მათ ასაკობრივ თავისებურებებს? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

- დიახ, ყველა შეესაბამება
- მხოლოდ ზოგიერთი შეესაბამება
- არცერთი არ შეესაბამება

განმარტებები კითხვაზე 4.

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი შეიძლება იქნეს გაცემული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას გააჩნია შემდეგი მახასიათებლების მქონე ტულეტი: დასაჯდომი უნიტაზის/იატაკის უნიტაზის/ორმოს ზომები შეესაბამება 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვის ფიზიკურ პარამეტრებს, თუ კარის სახელური განთავსებულია ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე, თუ საკმარისია განათება, რათა ბავშვებს არ ემინოდეთ შესვლის.

კითხვა 5: **დააკვირდით**, თუ რამდენად სუფთაა ტულეტები? (შეავსეთ, შესაბამისი ვარიანტი პლუსის დასმით)

	სუფთა ¹⁰	საკმარისად სუფთა ¹¹	ბინძური ¹²
მხოლოდ გოგონებისთვის			
მხოლოდ ბიჭებისთვის			

¹⁰ ტულეტში არ არის სუნი, შიგნით და მის გარშემო არ არის ფეკალიების კვალი, ასევე, ბუზები და ნაგავი

¹¹ ტულეტში არის გარკვეული სუნი, მცირე რაოდენობით ნაგავი და/ან ბუზები, მაგრამ არ არის ფეკალიების კვალი

¹² ტულეტში არის სუნი ან/და ფეკალიები, ან/და მნიშვნელოვანი რაოდენობის ბუზები, ან/და დიდი რაოდენობით ნაგავი.

საერთო ტულეტის ჯიხურები ბავშვებისთვის			
საეთო ტულეტის ჯიხურები პერსონალისათვის			

განმარტებები კითხვაზე 5.

.დაათვალიერეთ, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შესაბამისი ტიპის ტულეტები და შემდეგ მიუთითეთ თქვენი შთაბეჭდილება სათანადო ვარიანტის პასუხის მონიშვნით სქოლიოში გამოტანილი განმარტებების შესაბამისად. თუ დაწესებულებას არ გააჩნია, რომელიმე ტიპის ტულეტი, გრაფა დატოვეთ შეუვსებელი.

კითხვა 5: **დააკვირდით**, არის თუ არა დაწესებულებაში ინდივიდუალური მოხმარების ქოთნები 2-დან 5 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისათვის?

დიახ არა

განმარტებები კითხვაზე 6.

ამ კითხვაზე დადებითი პასუხი შეიძლება იქნეს გაცემული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულების 2-დან 5 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს გააჩნია ინდივიდუალური მოხმარების, შესაბამისად მარკირებული ქოთნები, რომლებიც ექვემდებარება სათანადო რეცხვა-დეზინფექციას, ყოველი გამოყენების შემდგომ.

დააზუსტეთ დეტალები, მარკირებულია თუ არა ქოთნები, თუ როგორ ხდება მათი დასუფთავება და რამდენად გათვითცნობიერებულია პერსონალი ყოველი მოხმარების შემდგომ ქოთნების რეცხვის, დეზინფექციისა და შრობის აუცილებლობის შესახებ.

კითხვა 6: ტულეტი ხელმისაწვდომი და მოხერხებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის?

დიახ არა

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ტულეტის ერთი ჯიხური მაინც არსებობს, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ მოხმარებისათვის, პასუხი კითხვაზე იქნება დადებითი.

კითხვა 7: ტულეტი ხელმისაწვდომი და მოხერხებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილებისათვის?

დიახ არა

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ტუალეტის ერთი ჯიხური მაინც არსებობს, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პერსონალის მიერ მოხმარებისათვის, პასუხი კითხვაზე იქნება დადებითი.

ნაწილი IV. ჰიგიენა

ინდიკატორი: დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ხელსაბანები, სადაც ყოველთვის ხელმისაწვდომია საპირი ყველა ბავშვისათვის და უზრუნველყოფილია ჰიგიენის სწავლება.

კითხვა 1: დააზუსტეთ დეტალები, დაწესებულებაში ისწავლება თუ არა ჰიგიენა? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ	<input type="checkbox"/>	არა	<input type="checkbox"/>
------	--------------------------	-----	--------------------------

თუ პასუხია „არა“ გადადით მე-5 კითხვაზე

განმარტება კითხვაზე 1.

გამოკითხეთ დაწესებულების ხელმძღვანელობა ისწავლება თუ არა ჰიგიენა.

კითხვა 2: დააზუსტეთ დეტალები, რას მოიცავს ჰიგიენის სწავლება? (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი)

- ხელების დაბანა ცალკე მოდულის სახით
- კბილების გახეხვა ცალკე მოდულის სახით
- პირადი ჰიგიენის მოდულის სახით
- სპეციალური სასწავლო მოდული არ არის

განმარტებები კითხვაზე 2.

დააზუსტეთ დეტალები. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო იქნება სხვადასხვა პირებთან გასაუბრება, მათ შორის, დირექტორთან, პედაგოგ-აღმზრდელთან, პედაგოგის დამხმარესთან.

კითხვა 3: დააზუსტეთ დეტალები, ექცევა თუ არა განსაკუთრებული ყურადღება საპნით ხელების დაბანის სწავლებას, ჰიგიენის სწავლების ფარგლებში? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

დიახ არა ნაწილობრივ არ ვიცი

განმარტებები კითხვაზე 3.

დააზუსტეთ დეტალები: ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, აუცილებელია გაესაუბროთ სხვადასხვა პერსონალს, გარდა ამისა, ადგილზე, სწრაფად გაეცნოთ დაწესებულებაში არსებულ ლიტერატურას/მასალებს ჰიგიენის სწავლებასთან დაკავშირებით. „განსაკუთრებული ყურადღება“ ნიშნავს, რომ საპნით ხელების დაბანის ჩვევებისა და უნარების განვითარებისათვის დაწესებულება ახორციელებს სპეციალურ სწავლებას რეგულარულ რეჟიმში და არა მხოლოდ პირადი ჰიგიენის საერთო სწავლების ფარგლებში (ვარიანტი „ნაწილობრივ“). დააკვირდით, არის თუ არა მასალებში ხაზგასმული ხელების დაბანისას საპნის გამოყენების აუცილებლობა. თუ ასეთ სასწავლო-საადმინისტრაციო ლიტერატურას/მასალას ვერ მოიპოვებთ, პასუხი უნდა იყოს „არ ვიცი“.

კითხვა 4: **დააზუსტეთ დეტალები**, არის თუ არა დაწესებულების განრიგში გამოყოფილი ცალკე დრო ხელების დაბანისათვის საკვების მიღებამდე? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ არა არ ვიცი

განმარტებები კითხვაზე 4.

ჰიგიენური განათლება შეიძლება მიეწოდებოდეს ბავშვებს, როგორც სპეციალური ცალკეული მეცადინეობის სახით, ან გათვალისწინებულ იყოს სასწავლო-საადმინისტრაციო პროგრამით და მოიცავდეს პირადი ჰიგიენის სხვადასხვა ასპექტებს, მაგრამ აუცილებელად მოიცავდეს ხელების დაბანის მნიშვნელობას და ტრენინგს საპნით ხელების დაბანის სწორი ტექნიკის ასათვისებლად.

გაეცანით დაწესებულების რეჟიმის ამსახველ დოკუმენტებს და შეისწავლეთ, არის თუ არა გამოყოფილი ცალკე დრო ხელების დაბანისათვის საკვების მიღებამდე.

კითხვა 5: **დააკვირდით**, არის თუ არა დაწესებულებაში ხელსაბანები? (მონიშნეთ ერთი პასუხი)

დიახ არა

თუ პასუხია არა, გადადით განყოფილებაზე „ნარჩენების მართვა და დასუფთავება“

განმარტებები კითხვაზე 5.

ხელსაბანი შეიძლება იყოს სტანდარტული ტიპისა, როგორცაა ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის ონკანი და ნიჟარა მიერთებული წყალარინების სისტემაზე, ასევე სპეციალურად მოწყობილი ხელსაბანი მიერთებული ან მომარაგებული სხვადასხვა ტიპის წყლის ავზიდან და წყალარინების სისტემასთან მიერთების გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს დაახლოებით 1/2 ლიტრი წყლის მიწოდებას ყოველ ჯერზე, როდესაც მოსწავლე საჭიროებს ხელის დაბანას. მოსწავლის/მასწავლებლის/პერსონალის ხელის დაბანის კრიტიკული საჭიროება დაწესებულებაშიდგება ტუალეტით სარგებლობის შემდეგ და საკვების მიღებამდე.

თუ ბავშვებს აწვდიან სასკოლო კვებას, მომსახურე პერსონალს ასევე უნდა გააჩნდეს ხელსაბანი.

კითხვა 6: რამდენი ხელსაბანი ნიჟარაა დაწესებულებაში? (მიუთითეთ რიცხვი)

	მოქმედი	მწყობრიდან გამოსული
ტუალეტებში ან მათ სიახლოვეს		
ჯგუფის ოთახებში		
დაწესებულების ტერიტორიაზე (მაგრამ არა ტუალეტის სიახლოვეს)		
სხვა (მიუთითეთ)		

განმარტებები კითხვაზე 6.

დაწესებულებების უმრავლესობაში ხელსაბანები განთავსებულია ტუალეტის სიახლოვეს ან უშუალოდ სანიტარიულ კვანძში და ამიტომ შესაძლებელია ექსკლუზიურად გამოიყენებოდეს გოგონების ან ბიჭების მიერ. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ „მხოლოდ გოგონებისათვის“ და „მხოლოდ ბიჭებისათვის“ განკუთვნილი ხელსაბანი ნიჟარების რაოდენობები შესაბამის გრაფებში. ხელსაბანების რაოდენობა, რომელიც შეიძლება გამოიყენებული იქნეს, როგორც გოგონების, ასევე ბიჭების მიერ (დერეფანში, საკლასო ოთახში, ბუფეტში და ა.შ. არსებული) მიუთითეთ გრაფაში - „საერთო ხელსაბანი ყველასთვის“.

კითხვა 7. ბავშვებისათვის განკუთვნილი ხელსაბანების კონსტრუქცია და აღჭურვილობა შეესაბამება მათ ასაკობრივ თავისებურებებს?

- დიახ, ყველა შეესაბამება
- მხოლოდ ზოგიერთი შეესაბამება
- არცერთი არ შეესაბამება

განმარტებები კითხვაზე 7.

ბავშვებისათვის განკუთვნილი ხელსაბანების კონსტრუქცია და აღჭურვილობა ჩაითვლება შესაბამისად მათი ასაკობრივი თავისებურებების, თუ შეუძლიათ დამოუკიდებლად მისწვდნენ საპონსა და წყალს.

კითხვა 8. **დააკვირდით**, ხელსაბანი ხელმისაწვდომია თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის?

დიახ არა

განმარტებები კითხვაზე 8.

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში ერთი ხელსაბანი მაინც არსებობს, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მიერ მოხმარებისათვის, პასუხი კითხვაზე იქნება დადებითი.

კითხვა 9: **დააკვირდით**, არის თუ არა ხელსაბანთან საპონი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

- დიახ ყველა შემოწმებულ ხელსაბანში არის საპონი
- დიახ, შემოწმებული ხელსაბანების 50% მეტში არის საპონი
- შემოწმებული ხელსაბანების მხოლოდ ნახევარშია საპონი
- არა, საპონი არ არის

განმარტებები კითხვაზე 9.

ეცადეთ, დაათვალიეროთ ყველა ხელსაბანი, ან მათი უმრავლესობა მაინც. თუ დაწესებულების ხელსაბანებში ყოველთვის ხელმისაწვდომია საპონი, ბავშვების მიერ ხელის დაბანის საჭიროების 100% შემთხვევებში, რაც უზრუნველყოფილია სათანადო მარაგების არსებობით, შეგიძლიათ მონიშნოთ „დიახ“ გრაფა.

კითხვა 10: **დააკვირდით**, ხელსაბანთან არის თუ არა ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

- დიახ ყველა შემოწმებულ ხელსაბანში არის ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი
- დიახ, შემოწმებული ხელსაბანების 50% მეტში არის ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი
- შემოწმებული ხელსაბანების მხოლოდ ნახევარშია ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი
- არა, ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი არ არის

განმარტებები კითხვაზე 10.

ეცადეთ, დაათვალიეროთ ყველა ხელსაბანი, ან მათი უმრავლესობა მაინც. თუ ყველა ხელსაბანთან ყოველთვის ხელმისაწვდომია ერთჯერადი/ქაღალდის ხელსახოცი, ბავშვების

მიერ ხელის დაბანის საჭიროების 100% შემთხვევებში, რაც უზრუნველყოფილია სათანადო მარაგების არსებობით, შეგიძლიათ მონიშნოთ „დაახ“ გრაფა.

ნაწილი V. ნარჩენების მართვა და დასუფთავება

ინდიკატორი: დაწესებულებაში რეგულარულად ხორციელდება მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების გატანა, დადგენილია და კონტროლდება დასუფთავების რეჟიმი.

კითხვა 1: როგორ არის ორგანიზებული დაწესებულებაში მყარი ნარჩენების (ნაგვის) შეგროვება და გატანა? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

ნარჩენებს დაწესებულება აგროვებს სპეციალურ კონტეინერში/ბუნკერში, ხოლო გააქვს სპეციალიზებულ მუნიციპალურ სამსახურს

ნარჩენებს აგროვებს დაწესებულება და ყრის ნაგავსაყრელზე დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს

ნარჩენებს აგროვებს დაწესებულება და წვავს დაწესებულების ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს

სხვა (მიუთითეთ)

არ ვიცი

განმარტებები კითხვაზე 1.

პასუხი დადებითი უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაწესებულებაში ყოველდღიურად ხდება მყარი ნარჩენების შეგროვება სხვადასხვა სათავსიდან და დაგროვება ერთ ადგილას, საიდანაც გაიტანება განსაზღვრული ინტერვალით (მაგალითად, ყოველ მეორე დღეს, კვირაში ერთხელ და ა.შ.). საჭიროების შემთხვევაში, განახორციელეთ დაკვირვება.

კითხვა 2: რა სიხშირით გააქვთ დაწესებულებიდან მყარი ნარჩენები? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

დღეში ერთხელ მაინც

ორ დღეში ერთხელ ან კვირაში ერთხელ მაინც

ნაკლებად, ვიდრე კვირაში ერთხელ

სხვა (მიუთითეთ)

არ ვიცი

განმარტებები კითხვაზე 2.

თუ დაწესებულებას გააჩნია საასენიზაციო ან სექტიკური ავზი ჩამდინარე წყლების დაგროვებისათვის, პერიოდულად უნდა ხორციელდებოდეს მისი დაცლა, გავსების თავიდან ასაცილებლად. იმ შემთხვევაში, როცა დაწესებულების შენობა მიერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან და არ არსებობს დამატებითი საჭიროება ჩამდინარე წყლების გატანისათვის, პასუხი იქნება დადებითი.

კითხვა 3: უსაფრთხოდ გაიტანება თუ არა დაწესებულების ტუალეტებისა და სხვა სათავსების ჩამდინარე წყლები? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

დიახ

არა

არ ვიცი

განმარტებები კითხვაზე 3.

დააზუსტეთ დეტალები, იმ შემთხვევაში, როცა დაწესებულებაში არის სანიტარიულ-ტექნიკური სისტემა ("თურქული ჯამის" ტიპის, რომელიც მიერთებულია სექტიკურ რეზერვუარზე/ავზზე, ასევე ცემენტის ან სხვა მყარი და დაცული ნაგებობა ღია დღენიერების სისტემით), არსებობს, თუ არა ჩამდინარე წყლების (სექტიკური ავზის) ამოტუმბვის გრაფიკი და გაწერილია თუ არა უსაფრთხოების წესები ამ სამუშაოების წარმოებისათვის, კერძოდ, თუ სად ხდება ჩამდინარე წყლების გატანა. თუ უბრალოდ ხდება გადაღვრა ღია თხრილში, თავისუფალ მიწის ნაკვეთზე, მდინარეში და ა.შ. უნდა მონიშნოთ პასუხი „არა“.

კითხვა 4: დააკვირდით, შემოწმების მომენტისთვის იყო თუ არა გავსებული ან გადავსებული თხრილი/სექტიკური რეზერვუარი/ავზი? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

დიახ ყველა

დიახ, შემოწმებული ტუალეტების 50% მეტი

შემოწმებული ტუალეტების ნახევარი ან ნაკლები

არა, არცერთი

განმარტებები კითხვაზე 4.

შეეცადეთ დაათვალიეროთ ყველა ტუალეტი დაწესებულების ტერიტორიაზე, ან უმრავლესობა მაინც და შეაფასოთ შემოწმების მომენტისათვის არაის თუა რა გადავსებული საკანალიზაციო და სანიტარიულ ტექნიკური მოწყობილობები ჩამდინარე წყლებისათვის.

კითხვა 5: **დააკვირდით**, მოქმედებს თუ არა დაწესებულებაში ჩამდინარე წყლების დრენირების სისტემა? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი). **დააზუსტეთ დეტალები**: დრენირების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინებას.

დიახ არა დიახ, მხოლოდ ნაწილობრივ მოქმედი, დაუსრულებელი სისტემა

განმარტებები კითხვაზე 5.

დააზუსტეთ დეტალები: დრენირების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელნაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინებას.

კითხვა 6: **დააკვირდით**, სუფთა და მოწესრიგებულია თუ არა დაწესებულების სათავსები? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი). ეცადეთ დაათვალიეროთ ყველა სათავსი, ან უმრავლესობა მაინც.

დიახ არა მხოლოდ ნაწილობრივ

განმარტებები კითხვაზე 6.

ეცადეთ დაათვალიეროთ დაწესებულების ყველა სათავსი, ან უმრავლესობა მაინც და შეაფასოთ სუფთა და მოწესრიგებულია თუ არა ისინი.

კითხვა 7: **დააკვირდით**, არის თუ არა დაწესებულებაში მარკირებული დასალაგებელი ინვენტარი და საშუალებები? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი).

დიახ არა მხოლოდ ნაწილობრივ

განმარტებები კითხვაზე 7.

ეცადეთ დაათვალიეროთ დაწესებულების ყველა სათავსი, ან უმრავლესობა მაინც, სადაც ინახება დასალაგებელი ინვენტარი და შეაფასეთ, გააჩნია თუ არა ინვენტარს სათანადო მარკირება სხვადასხვა ტიპის სათავსებისათვის. ხომ არ გამოიყენება ერთი და იგივე ინვენტარი ჯგუფის ოთახის, სანიტარიული კვანძისა და სამზარეულოს დასუფთავებისათვის.

კითხვა 8: **დააკვირდით**, გააჩნია თუ არა დაწესებულებას (ყოველდღიური, ყოველვირეული, ყოველთვიური) დასუფთავების წესები, გრაფიკი და აწარმოებს თუ არა დასუფთავების კონტროლს? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ არა მხოლოდ ნაწილობრივ

განმარტებები კითხვაზე 8.

პასუხი დადებითი უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებაში მოქმედებს დასუფთავების კონტროლის სისტემა სათანადო დოკუმენტირებით, ხოლო დასუფთავება ხორციელდება შემდეგი წესების დაცვით:

- ყველა ოთახი ექვემდებარება დასუფთავებას სველი წესით ჰიგიენური საშუალებების გამოყენებით, არანაკლებ დღეში 2-ჯერ გაღებული ფანჯრებისა და ფრამუგების პირობებში მტერისა და დაბინძურების სავალდებულო წმენდით სხვადასხვა ზედაპირებიდან (იატაკი, პლინტუსები, ავეჯის ქვეშ სივრცეები, ფანჯრის რაფები, რადიატორები და ა.შ.), განსაკუთრებით ხშირად შეხებადი ზედაპირებიდან (კარისა და კარადების სახელოურები, ჩამრთველები, ფანჯრის სახელოურები);
- ჯგუფის ოთახებში არსებული მაგიდების ზედაპირები ირეცხება ცხელი წყლით ყოველი კვების შემდეგ სპეციალურად მაგიდის წმენდისათვის განკუთვნილი ტილოს გამოყენებით, რომელიც მარკირებულია, ირეცხება, შრება და ინახება თავდახურულ კონტეინერში;
- სკამები, საფენების/“პამპერსის“ გამოსაცვლელი მაგიდები, მანუქი და სხვა აღჭურვილობა, ასევე მუშაობის გულსაფენები გამოყენების შემდეგ იწმინდება ცხელი წყლითა და საპნით; ნაჭრის გულსაფენები - ირეცხება;
- სათამაშოები ირეცხება სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ, მარკირებულ ჭურჭელში (ან მანქანაში);
- დასალაგებელი ინვენტარი და ტილოები მარკირებულია სათავსების ტიპების მიხედვით (ჯგუფის ოთახი, სამზარეულო, ტუალეტი და ა.შ.). დაუშვებელია ერთი და იგივე დასალაგებელი ინვენტარის გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის;
- ხალიჩები ყოველდღიურად იწმინდება მტვერსასრუტითა და სველი ჯაგრისით. რეკომენდებულია ხალიჩების ქიმწმენდა არანაკლებ წელიწადში ერთჯერ;
- სანიტარიულ-ტექნიკური აღჭურვილობა ყოველდღიურად დეზინფიცირდება, მიუხედავად ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა. უნიტაზების დასაჯდომები, ჩამრეცი ბაკის სახელოურები/ხელით შეხების ადგილები ყოველდღიურად ირეცხება თბილი წყლითა და საპნით, ან ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ჰიგიენური საშუალებით;

- ბავშვებისათვის განკუთვნილი ქოთნები ექვემდებარება რეცხვას ჯაგრისით ყოველი გამოყენების შემდეგ. აბაზანები, ხელსაბანი ნიჟარები, უნიტაზები ჯაგრისით ირეცხება 2-ჯერ დღეში ჰიგიენური და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;
- გენერალური დასუფთავება ტარდება ყოველთვიურად, ჰიგიენური და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით. ფანჯრები გარედან და შიგნიდან იწმინდება დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ 2-ჯერ წელიწადში (გაზაფხულსა და შემოდგომაზე);
- დაუშვებელია რაიმე სახის სარემონტო სამუშაოების წარმოება ბაღის ფუნქციონირებისას ბავშვების თანდასწრებით;
- სათამაშოები ექვემდებარება რეცხვას ყოველდღიურად დღის ბოლოს საპნით/ჰიგიენური საშუალებითა და არანაკლებ 37° გამდინარე წყლით, შემდგომი გაშრობით ჰაერზე. სათამაშოები, რომელიც ვერ უძლებს რეცხვას და წმენდას სველი წესით, შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ დიდაქტიკური მიზნებისათვის;
- თეთრეულისა და პირსახოცების გამოცვლა ხდება დაბინძურების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ყოველკვირეულად. თეთრეული და პირსახოცები უნდა იყოს მარკირებული;
- სუფთა თეთრეული დაპაკეტებული ინახება კარადებში;
- საბნები, ლეიბები, ბალიშები ექვემდებარება განიავებას გენერალური დასუფთავებისას, ხოლო წელიწადში ერთხელ - ქიმწმენდას;
- დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სადეზინსექციო და სადერატიზაციო სამუშაოების წარმოება მწერებისა და მღრღნელების შემოღწევის თავიდან ასაცილებლად.

დააზუსტეთ დეტალები, სათავსების დათვალიერებით, პერსონალის გამოკითხვით, მონიტორინგის მონაცემების გაცნობით და მხოლოდ მიღებული შედეგების მიხედვით მონიშნეთ შესაბამისი პასუხის ვარიანტი.

კითხვა 9: **დააკვირდით** ხორციელდება თუ არა დაწესებულებაში სათამაშოების ყოველდღიური წმენდა და რეცხვა? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ არა მხოლოდ ნაწილობრივ

ამ კითხვაზე პასუხი დადებითი შიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათამაშოები ექვემდებარება რეცხვას ყოველდღიურად, დღის ბოლოს, საპნით/ჰიგიენური საშუალებითა და არანაკლებ 37°C გამდინარე წყლით, სპეციალურად ამ მიზნისათვის გამოყოფილ, მარკირებულ ჭურჭელში (ან სარეცხ მანქანაში) შემდგომი გაშრობით ჰაერზე, რაც სათანადოდ აღრიცხული

და გაკონტროლებულია. სათამაშოები, რომელიც ვერ უძლებს რეცხვას და წმენდას სველი წესით, შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ დიდაქტიკური მიზნებისათვის.

კითხვა 10: **დაზუსტეთ დეტალები** უზრუნველყოფილია თუ არა სადებიზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება რეგულარულ რეჟიმში? (მონიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)

დიახ არა მხოლოდ ნაწილობრივ

ამ კითხვაზე პასუხი დადებითი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კომპანიასთან, რომელიც რეგულარულად ატარებს სადებიზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოებს მწერებისა და მღრღნელების შემოდწევის თავიდან ასაცილებლად, ჩატარებული სამუშაოები აღრიცხულია შესაბამის ჟურნალში და უზრუნველყოფილია სათანადო რეგულარულობა.

დანართი 1.

სასმელი წყლის გაუმჯობესებული წყაროები

- ❖ **წყალგაყვანილობის მილსადენი შეყვანილი შენობაში, ანუ სასმელ-სამეურნეო წყალგაყვანილობა** - განისაზღვრება, როგორც მაგისტრალურ წყალგაყვანილობასთან მიერთებული შენობის წყალგაყვანილობის ქსელი ერთი ან რამდენიმე ონკანით (მაგალითად, სამზარეულოსა და აბაზანაში);
- ❖ **წყალგაყვანილობის მილსადენი შეყვანილი დაწესებულების ეზოში/ნაკვეთზე, ანუ ეზოს წყალგაყვანილობა** - განისაზღვრება, როგორც წყალგაყვანილობასთან მიერთებული ონკანი, რომელიც განთავსებულია ეზოში ან მიწის ნაკვეთზე შენობის გარეთ;
- ❖ **საერთო მოხმარების წყალსადენი ონკანი ან წყალაღების სვეტი** - წარმოადგენს საერთო მოხმარების წყალმომარაგების პუნქტს, სადაც მოსახლეობას შეუძლია წყლის აღება. სვეტს ასევე შეიძლება ეწოდოს სასმელი წყლის შადრევანი ან საერთო მოხმარების ონკანი. საზოგადოებრივი წყალაღების სვეტს შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე ონკანი და როგორც წესი, აგებენ აგურის, ქვის ან ბეტონისაგან. თ სხვა მოსახლეობასთან;
- ❖ **მილისებრი ჭა ან ჭაბურღილი** - მიწისქვეშა წყლებისადმი წვდომისათვის გაბურღული ან ამოთხრილი ღრმა ორმო. ჭაბურღილების/მილისებრი ჭების ამოყვანა ხდება დამცავი მილების მეშვეობით, რომელიც საშუალებას არ აძლევს მცირე დიამეტრის ჭებს შიგნით ჩაიშალოს, ასევე იცავს წყაროს ჩამდინარე წყლების ფილტრაციისაგან. ჭაბურღილიდან ან მილისებრი ჭიდან წყალი ამოდის ტუმბოს მეშვეობით, რომელიც მოქმედებაში შეიძლება იქნეს მოყვანილი ადამიანის მიერ, მათ შორის შინაური ცხოველების მოხმარებით, ან ქარის, მზის, ელექტრო ან დიზელის ძრავის მეშვეობით. ჭაბურღილები/მილისებრი ჭები ჩვეულებრივ დაცულია ჭის გარშემო მოწყობილი პლატფორმით, რომელიც იძლევა წყლის არინების საშუალებას და არ ხდება ჩამდინარე წყლების ჩადინება ჭაბურღლს შიგნით ყელის გავლით;
- ❖ **დაცული ჭა** - წარმოადგენს მიწაში ამოთხრილ ჭას, რომელიც ჩამდინარე წყლების შიგნით შეღწევისაგან დაცულია მოპირკეთებული კედლებით ან დამცავი მილით, რომლის დაბოლოება დედამიწის ზედაპირზე მაღალია და გააჩნია პლატფორმა დაღვრილი წყლის არინებისათვის. დაცულ ჭას, ასევე უნდა გააჩნდეს სახურავი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფრინველის გამონაყოფებისა და ცხოველის მოხვედრა შიგნით;
- ❖ **დაცული წყარო** - წარმოადგენს წყაროს, რომელიც როგორც წესი დაცულია მასში ჩამდინარე წყლების, ფრინველის გამონაყოფებისა და ცხოველების მოხვედრისაგან აგურის, ქვის ან ბეტონისაგან იმგვარად აგებული საკაპტაჟე მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს წყაროს წყლის მოხვედრას პირდაპირ მილში ან ავზში, გარემოდან დაბინძურების გარეშე;
- ❖ **ბუტილირებული (ბოთლში ჩამოსხმული) წყალი** - ბოთლში ჩამოსხმული წყალი, რომელიც წარმოებულია სანდო კომპანიის მიერ და რომელსაც აკონტროლებს ხელისუფლების შესაბამისი ორგანო, წარმოადგენს გაუმჯობესებული სასმელი წყლის

წყაროს. ამასთან, ბუტლირებული წყალი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება გაუმჯობესებული სასმელი წყლის წყაროდ, თუ იგი გამოიყენება მეორე გაუმჯობესებულ წყაროსთან ერთად სხვა მიზნებისათვის, როგორცაა პირადი ჰიგიენა ან საკვების მომზადება;

- ❖ **წვიმის წყალი** - წარმოადგენს წყალს, რომელიც შეგროვებულია სხვადასხვა ზედაპირებიდან (სახურავები ან მიწის პირზე განთავსებული ჭურჭელი) და ინახება კონტეინერში, რეზერვუარში ან ცისტერნაში მის გამოყენებამდე.

სასმელი წყლის არაგაუმჯობესებული წყაროები

- ❖ **დაუცველი წყარო** - წყარო, რომელიც არ არის დაცული ჩამდინარე წყლების, ფრინველის გამონაყოფების, ცხოველების ზემოქმედებისაგან. როგორც წესი, დაუცველ წყაროს არ გააჩნია „კაპტაჟი“;
- ❖ **დაუცველი ჭა** - მიწის სიღმეში ამოთხრილი ჭა, რომელიც ხასიათდება ერთ-ერთი შემდეგი მახასიათებლით:
 - 1) არ არის დაცული ჩამდინარე წყლებისაგან;
 - 2) არ არის დაცული ფრინველებისა და ცხოველების გამონაყოფებისაგან.

თუ ჩამოთვლილთაგან ერთი მაინც შეესაბამება, ჭა ჩაითვლება დაუცველად;

- ❖ **პატარა საზიდარზე განთავსებული ცისტერნა/ბიდონი, რომლითაც ხდება წყლის მიწოდება მომხმარებლებისათვის მომწოდებლის მიერ** - ტრანსპორტირება შეიძლება ხორციელდებოდეს ურმის, ავტომობილის ან სხვა საშუალებით;
- ❖ **წყალმზიდი** - წყლის მიწოდება დასახლებულ პუნქტში ხდება წყალმზიდით და შემდეგ იყიდება;
- ❖ **ზედაპირული წყალსატევების წყალი** - არის ზედაპირული წყაროს წყალი და მოიცავს მდინარეებს, ტბებს, წყალსაცავებს, ნაკადულებს, სანიაღვრე და სარწყავ არხებს.